საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიფცვაა, ფაფიოებით და ჭიერებით ბეჭთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსამაგლოესია.

ოთხშაბათი, 9 მაისი. 2018 წ. №96 (8497), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

დიადი გამარჯვების ქართული წილი

ულმობელი დრო ყველა აწმყოს წარსულად აქცევს, მაგრამ გააჩნია აწმყოსაც და წარსულსაც. ზოგიერთი დღეს უკვე წარსულად ქცეული აწმყო ძალიან ბევრს აღარ ახსოვს მთელი თავისი სიცხადით და იდეოლოგიურად გონებადამახინჯებულ ადამიანთაგან ბოროტ ფესვზე ნახარები ზღაპრების და ლეგენდების ტყვეობაში ექცევა.

დიდად სამწუხაროდ, დღეს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 73-ე წლისთავზე, კიდევ არიან ისეთი ადამიანები, ვინც გულისტკივილით ლაპარაკობს ფაშიზმის დამარცხებაზე, თუნდაც იმ ერთი სულელური მიზეზის გამო, რომ ბავარიულ ლუდს ვეღარ დავლევდით. მთავარი სისულელე კი ის არის, თითქოს პირსისხლიანი ჰიტლერი კომუნისტური უღლიდან ხომ გამოგვიშვებდა და თანაც თურმე სამოთხედ აქცევდა ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოს.

მაგრამ, კიდევ კარგი, ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა ასე უკუღმართად არ ფიქრობდა და მთელი გრძელი ხუთი წელიწადი სისხლისა და მამულიშვილური სინდის-ნამუსის უკანასკნელ წვეთამდე სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი კაცობრიობის უსაშინლეს მტერს — გერმანულ ფაშიზმსა და ნაციზმს.

1945 წლის 9 მაისი, რასაკვირველია, გმირული სიამაყის გრძნობის მომგვრელი იყო, არის და სამუდამოდ ასეთად დარჩება ყველა იმ ხალხისთვის, ვინც თავისი გაღებული სისხლისა და სიცოცხლის ფასად იღებდა მონაწილეობას ამ დიდი გამარჯვების მოპოვებაში. ისე, არც იმის თქმა იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ კაცობრიობის არსებობის მრავალი ათასწლეულის მთელ სიგრძეზე ადამიანს ჯერ არ დაუმარცხებია უფრო უსაშინლესი ბოროტი ძალა, ვიდრე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერმანულ-იტალიური ფაშიზმი და ნაციზმი იყო. ამიტომ მეორე მსოფლიო ომში, რომელიც ჩვენთვის სამართლიანად დიდი სამამულო შერკინება იყო, ამ უსაშინლესი ბოროტი ძალის დამარცხება სრულიად კაცობრიობის გადარჩენასთან ჭრის, ანუ, როგორც ახლა იტყვიან, თავის დაღწევის ტოლფასია.

და, მიუხედავად უდიდესი მსხვერპლისა, თუ რომელიმე ხალხს, თვით რუსობასაც კი, 1945 წლის გამარჯვებაზე თავის წილად ამაყი სიტყვა ეთქმის მეტი თუ არა, არავისზე ნაკლებად ამაყი სიტყვა არ გვეთქმის ჩვენ, ქართველობას. ჯერ ერთი, კაცობრიობის ისტორიაში ამ უდიდესი ომის საჩვენოდ გამარჯვების უდიდესი და უპირველესი გამომჭედელი იყო პირველი ქართველი გენერალისიმუსი, ალბათ, ყველა დროის სწორუპოვარი მთავარსარდალი იოსებ სტალინი, რომელმაც, ჩერჩილის თქმისა არ იყოს, იმდენი მოახერხა, რომ ფაქტობრივად თავისი მტრები თავის გვერდით გააერთიანა საერთო მტრის დასამარცხებლად. მერე რა ვუყოთ, თუ ზოგიერთი უმადური ქართველთმოძულე, რომელთა შორის, სამარცხვინოდ გადაგვარებულ ნაციონალისტ რუსებთან ერთად, ჩვენი ასევე გადაგვარებული, ისტორიის ეროვნულად შეგრძნების უნარდაკარგული ქართველებიც თავიანთი მოკლე ჭკუით ყირამალა აყენებენ ჩვენს აშკარად გმირულ წარსულს... თუმცა, საბედნიეროდ, დიდი და ჭეშმარიტი სიმართლე ისტორიაში არასოდეს დაკარგულა და არც დაიკარგება.

განა იმის უარყოფა შეიძლება, რომ ფრონტზე წასული 700 ათასი ქართველიდან თითქმის ნახევარი აღარ დაბრუნებულა, განა იმის ბოროტად ჩაქირქილება შეიძლება, რომ ეს ჩვენი ომი არ იყო და ჩვენ სხვის ომში ვიხოცებოდით.

ეს მაშინ, როცა უმაღლესი მთავარსარდალიც ჩვენი იყო და 700 ათასი ქართველი ჯარისკაცი გმირულად იბრძოდა.

ასე რომ, 1945 წლის უდიდესი გამარჯვების აწონა რომ შეიძლებოდეს, ქართველების წილი ძალიან, ძალიან ბევრის წილს საგრძნობლად გადასწონიდა.

ეს არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, მით უმეტეს, დღევანდელ აწეწილ-დაწეწილ დროს, არცთუ იშვიათად სხვათა და სხვათა ავ ფეხის ხმასაყოლილ ქართველობას, არადა, ჩვენდა სამარცხვინოდ, **იმის მაგივრად, რომ ყველა ჩვენი ძალა და შემართება წვეთ-წვეთად გავაერთიანოთ, ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს ხვალინდელი კეთილდღეობისთვის, ჩვენ ისევ და ისევ, როგორც ჩვენი ისტორიის მთელ სიგრძეზე, ერთმანეთის დაჭმას ვუნდებით და პირადულს საზოგადოებრივზე წინ ვაყენებთ. არადა, ეს გზა ჩვენი ეროვნული გამარჯვებისკენ არ მიდის.**

და ეს ხდება მაშინ, როცა უამრავი საამაყო გვაქვს, რაც უნდა გვაერთიანებდეს და განგვამტკიცებდეს.

მაშ, ვიყოთ ამაყები! სიამაყე და ყოყლოჩინობა სულ სხვადასხვა რამ არის!

გილოცავთ 9 მაისობას, დიადი გამარჯვების დღეს, რომელ გამარჯვებაშიც ჩვენი, ქართველების, წილი ისტორიულად უდიდესი და მარად დაუვიწყარია!

„დაკარგული დროისა“ და სამშობლოს ძიებაში

⑥

კომპიუტერული თამაშები და სისასტიკე მოზარდებში

⑨

ფაშინიანი: „ბაგრამიანის ბატალიონი“ სომხების საბედისწერო შეცდომა იყო“

სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი მიიჩნევს, რომ „ბაგრამიანის ბატალიონი“ და მონაწილეობა აფხაზეთის ომში საქართველოს წინააღმდეგ იყო სომხების საბედისწერო შეცდომა, რამაც გააფუჭა ქართულ-სომხური ურთიერთობები.

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. უკვე უმაღლეს დონეზე ხდება ღირებულებათა გადაფასება.

შეგახსენებთ, რომ ბაგრამიანის ბატალიონი იყო აფხაზეთის 1992-93 წლების ომის პერიოდში ჩამოყალიბებული სომხური ბატალიონი, რომელსაც თავდაპირველად ნაციონალისტური ორგანიზაცია „კრუნკის“ ლიდერი, ვლადისლავ არძინბას მომხრე ალბერტ ტოპოლიანი მეთაურობდა და სეპარატისტების მხარეს იბრძოდა. ეს შენაერთი საბჭოთა სომეხი მარშლის ივანე ბაგრამიანის სახელს ატარებდა.

ბაგრამიანის ბატალიონში ძირითადად გაერთიანდნენ გაგრის, გუდაუთის რაიონებსა და ტყვარჩელის ზონაში მცხოვრები სომეხი ახალგაზრდები. აღნიშნულმა ბატალიონმა თვითმხილველთა, საქართველოს გენპროკურატურის, უშიშროებისა და სადაზვერვო ორგანოების შეფასებით, თავი გამოიჩინა განსაკუთრებული სისასტიკით და მონაწილეობა მიიღო ქართველთა გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაში. ბაგრამიანის ბატალიონს ფინანსურად და ეკონომიკურად ეხმარებოდნენ რუსეთის სომხური დიასპორის წარმომადგენლები, ბიზნესმენები.

სომხური ბატალიონი მონაწილეობდა აგრეთვე 1998 წლის მაისში გალის რაიონში განხორციელებულ ქართველთა ეთნიკურ წმენდაში.

დამტკიცებულია ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის კონცეფცია

ჩვენ მზად ვართ, გავაკეთოთ უფრო მეტი, ვიდრე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება მოითხოვს, რათა მომავალშიც გავაგრძელოთ წარმატებული სვლა ევროპისკენ; ამის გათვალისწინებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, შევიმუშაოთ ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა, რომელშიც აისახება ევროინტეგრაციის მიმართულებით დაგეგმილი შემდგომი ნაბიჯები, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის 57-ე სხდომაზე განაცხადა.

„აღსანიშნავია, რომ საქართველო ევროკავშირის პარტნიორების მხრიდან განიხილება, როგორც ლიდერი ქვეყანა გატარებული რეფორმებით და მინდა, კომისიის ყველა წევრს მოგილოცოთ ეს წარმატება. ჩვენ ნამდვილად გვაქვს საამაყო ის, რომ საქართველო აბსოლუტურად ყველას მიერ აღიარებული ლიდერია განხორციელებული რეფორმებით, მიღწეული შედეგებით. მინდა, თქვენს ყველა თანამშრომელს ჰქონდეს ეს განცდა და ყველას გადასცეთ მადლობა. ჩვენი სტრატეგიული მიზანი — ევროკავშირში საბოლოო გაწევრება მხოლოდ და მხოლოდ ასეთი ფართო ჩართულობით და ყველა უწყების აქტიურობით მიიღწევა, ამიტომ კიდევ ერთხელ მადლობა ყველას, აბსოლუტურად ყველა თანამშრომელს, ვინც ამ წარმატებაში მონაწილეობს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა, რომლის დევიზია „მეტი ინტეგრაცია მეტი შესაძლებლობებისთვის“, შესაბამისი უწყებების აქტიური ჩართულობით, წლის ბოლომდე შემუშავდება. მთავრობის მეთაურმა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართა თხოვნით, ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის კონცეფციაზე ასევე ფართო კონსულტაციები გამართოს მოსახლეობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებთან, ვინაიდან ეს გეგმა აბსოლუტურად ყველასი, თითოეული მოქალაქის უნდა იყოს.

სხდომაზე ასევე, მოისმინეს ინფორმაცია ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

პრემიერის შეფასებით, შენგენის ზონის წევრ ქვეყნებში უვიზო მიმოსვლა ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარია, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება.

ქვეყნის პრობლემები ევროპარლამენტარებს გააცნეს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ევროპარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტის დელეგაცია მიიღო.

შეხვედრაზე საუბრის მთავარი თემა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია და ქვეყანაში განხორციელებული და მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები იყო.

პარლამენტის თავმჯდომარემ ევროპარლამენტარებს ვიზიტისთვის, ასევე, 2018 წლის 25 აპრილს, ევროპარლამენტის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ქვეკომიტეტის სხდომაზე სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის, საქართველოში უსაფრთხოების ვითარების განხილვისა და ჩვენი ქვეყნისადმი მხარდაჭერის კიდევ ერთხელ დადასტურებისთვის მადლობა გადაუხადა. ირაკლი კობახიძემ ხაზგასმით აღნიშნა დელეგაციის ვიზიტის მნიშვნელობა, რომლის დროსაც, ევროპარლამენტარებს საშუალება ექნებათ, ადგილზე გაეცნონ საოკუპაციო ხაზზე არსებულ ვითარებას. მისი შეფასებით, ეს არის საქართველოს მხარდამჭერი ძლიერი სიგნალი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ისაუბრა ჩვენი ქვეყნის დასავლურ მისწრაფებებზეც და განაცხადა, რომ ევროპული ინტეგრაცია, უპირველესად, ქართველი ხალხის ფასეულობებზე დაფუძნებული გადაწყვეტილება და ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. მისივე თქმით, ევროინტეგრაციის პროცესში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის პარალელურად, ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართ მხარდაჭერა იზრდება.



წვლილს შეიტანს საქართველოსა და ირანის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითრებაში.

ირანთან ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებაზე შეთანხმდით...

7 მაისს საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით ირანის ისლამურ რესპუბლიკას ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრები ირანის საგარეო საქმეთა მინისტრთან მოჰამად ჯავად ზარიფთან, ეკონომიკურ საქმეთა და ფინანსთა მინისტრთან მასუდ კარბასიანთან, გზებისა და ურბანული განვითარების მინისტრთან აბას ახუდისთან და ირანის ნავთობის მინისტრთან ბიჟან ნამდარ ზანგესთან.

შეხვედრებზე განხილული იყო ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების საკითხები, ენერგეტიკის მიმართულება, ასევე რეგიონულ პროექტებში თანამშრომლობის განვითარების საკითხები. ამდენად, მრავალმხრივი ეკონომიკური მიმართულებით თანამშრომლობა მნიშვნელოვან

ავტოავარიამ ამერიკის საელჩოს თანამშრომელი და საქართველოს მოქალაქე შეიწირა!

საქართველოში აშშ-ის საელჩო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ავტოავარიისას საელჩოს თანამშრომლის მარკ მიტჩელისა და საქართველოს მოქალაქის დაღუპვის გამო.

მარკი USAID-ის გუნდის ფასდაუდებელი წევრი იყო და მის არყოფნას ძალიან განვიცდით.

ამერიკის საელჩოს გუნდი უთანაგრძნობს მარკის ოჯახს, შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქის ოჯახსა და დაშავებულებს.

მარკი ღირსეულად ემსახურებოდა თავის ქვეყანას ჩვენი სამყაროს გაუმჯობესებისათვის. მან მრავალი ადამიანის ცხოვრება შეცვალა თავის სამშობლოსა და მის საზღვრებს გარეთ. მარკი ემახსოვრებათ იმ თავდადებული შრომისათვის, რომელიც მან გასაჭირში მყოფთა დასახმარებლად გასწია“, — ნათქვამია აშშ-ის საელჩოს წერილში. ავტოსაგზაო შემთხვევა, რა დროსაც ორი ადამიანი დაიღუპა, დაბა მანგლისთან მოხდა. დაშავდა 17 მგზავრი.

„ჩვენ შეგვძლებთ თქვენს დახმარებას, თუ უფრო მეტი გვეცოდინება“...

საქართველომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომხდარი ყოველი უსამართლო ფაქტის შესახებ სამართლებრივი საქმეები უნდა გახსნას — ამის შესახებ ევროპარლამენტარმა მაიკლ გალომ ევროკავშირის ელჩ იანოშ ჰერმანთან შეხვედრის შემდეგ, არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე საქართველოს მიერ სტრასბურგის სასამართლოსადმი მიმართვის შესახებ საუბრისას ჟურნალისტებს განუცხადა.

„ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილი ვითარების გამო, იმის გამო, რომ ხდება უსამართლობა რიგითი მოქალაქეებისა თუ ოფიციალური პირების მხრიდან, საჭიროა, საქართველომ იფიქროს მექანიზმზე, რომლითაც ამ ფაქტების სისტემატურ რეგისტრაციას მოახდენს. არა მხოლოდ უნდა ისაუბროთ ან სტრასბურგში ჩაიტანოთ ეს დარღვევები, არამედ ფაქტობრივად, გახსნათ სამართლებრივი საქმეები, რომელიც საშუალებას მოგცემთ, დააკავოთ და გაასამართლოთ დამნაშავე პირები, თუ ისინი მოხვდებიან თქვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

მსგავსი პრაქტიკა მუშაობდა გერმანიაშიც, როდესაც დაყოფილები ვიყავით. დასავლეთ გერმანია არეგისტრირებდა მსგავს შემთხვევებს აღმოსავლეთ გერმანიასთან მიმართებით. უკვე მოგვიანებით, როდესაც ეს შესაძლებელი გახდა, დოკუმენტები გაიხსნა და ადამიანები გაასამართლეს კიდეც.

თქვენ სისტემატური შეხება გაქვთ ამ ფაქტებთან და თუ რეგისტრაციას მოახდენთ, ჩვენც უფრო მეტად შევძლებთ თქვენს დახმარებას, რადგან მეტი გვეცოდინება და შევძლებთ სულ მცირე, ამ პირების შავ სიაში შეყვანას“, — განაცხადა მაიკლ გალომ.

ტატუნაშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოში შესატანად სარჩელი მზადდება

იუსტიციის სამინისტრო არჩილ ტატუნაშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოში შესატანად სარჩელს ამზადებს. ამის შესახებ **თეა წულუკიანმა** განაცხადა.

„იუსტიციის სამინისტრომ მთავრობასთან შეთანხმებით ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო სარჩელის მომზადება სტრასბურგის სასამართლოში გასაგზავნად, როდესაც ჩვენი ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობდა ცხედრის დასაბრუნებლად ცხინვალის რეგიონიდან. ამის შემდეგ მოხდა გადმოცემა ცხედრისა, რომელსაც ჩვენ მივაგეთ პატივი, მივაბარეთ მიწას, მაგრამ არ გაჩერებულა სარჩელის მომზადების პროცესი. ჩვენ მას ძალიან მოკლე ვადებში დავასრულებთ იმ ყველა პროცედურის დაცვით, რაც გაზრდის ჩვენს, როგორც მოსარჩელე მხარის, შანსებს, და, რა თქმა უნდა, ამ საქმეზე მოპასუხე იქნება რუსეთის ფედერაცია“, — აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის **ძეთევან ციხელაშვილის** განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება არჩილ ტატუნაშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოში შესატან სარჩელზე მუშაობს.

„ჩვენ ადრეც გავაკეთეთ განცხადება, რომ საქართველოს ხელისუფლება გამოიყენებს ყველა მშვიდობიან ინსტრუმენტს, რომელიც მის ხელთ არის — დიპლომატიურს, სამართლებრივს, პოლიტიკურს და ა.შ. ეს მზადება ადრეც მიდიოდა და რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლება მუშაობს სარჩელზე“, — განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრ **სალომე სამადაშვილს** მიაჩნია, რომ მთავარი იქნება ის, თუ რამდენად დაიცავს საქართველო თავის ინტერესებს ამ სარჩელის მიმდინარეობისას.

„სამწუხაროდ, ჩვენ დღემდე ვხედავდით ტენდენციას, რომ საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას შერბილებული ჰქონდა საერთაშორისო წნეხი, მათ შორის საერთაშორისო სასამართლოების გზით რუსეთზე ზეწოლის მოხდენისა, იმისათვის, რომ რუსეთს პასუხი ეგო სხვადასხვა დანაშაულზე, რომელიც განხორციელებული აქვს საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ. შესაბამისად, სარჩელის შეტანა მნიშვნელოვანია, მაგრამ მნიშვნელოვანი იქნება ის, თუ რამდენად დაიცავს საქართველო თავის ინტერესებს ამ სარჩელის მიმდინარეობისას. ჩვენ ვხედავთ, რომ დღემდე ხელისუფლების ტენდენცია არის საწინააღმდეგო და რეალურად, ფორმალურად მიდის რუსეთის წინააღმდეგ სხვადასხვა ინსტანციებში სარჩელები, თუმცა ამას არანაირი შედეგი არა აქვს. თუ ეს შემთხვევა გამონაკლისი იქნება, ამას მხოლოდ მივესალმებით“, — განაცხადა სამადაშვილმა.

ელექტროავტობუსი საქართველოში დამზადდება!

თბილისის მერი კახა კალაძე კომპანია „ფრეგობასის“ ელექტროავტობუსის პრეზენტაციას დაესწრო და ახალი ავტობუსით იმგზავრა. ავტობუსი სატესტო რეჟიმში სხვადასხვა მარშრუტზე იმოძრავებს.

ტესტირების პროცესის მიზანი ქალაქის ინფრასტრუქტურისა და საექსპლუატაციო პირობების გათვალისწინებით, ელექტოავტობუსების ტექნიკური მახასიათებლების გამოცდაა.

როგორც დედაქალაქის მერმა განაცხადა, თანამედროვე მსოფლიო ელექტროტრანსპორტზე გადადის და ამ მიმართულებით, გამონაკლისი არც თბილისი იქნება.

„ფრეგობასი“ გერმანულ კომპანიასთან — EURABUS და ჩინურ კორპორაციასთან — ZTE Corporation ერთად, საქართველოში ელექტროავტობუსების ქარხნის გახსნას გეგმავს. ელექტროავტობუსის კონსტრუქცია ინოვაციური მეთოდითა და ალუმინის მცირე დეტალებითაა აწყობილი, რომელსაც შედუღება არ სჭირდება. ავტობუსი დაყოფილია სექციებად და მისი სიგრძე 8, 10 ან 12 მეტრია.

ელექტროავტობუსი ევროპული სტანდარტის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს და 100%-ით ეკოლოგიურად სუფთაა, რაც გარემოს დაბინძურების მაჩვენებლების მნიშვნელოვან შემცირებას უწყობს ხელს. კომპანია ქარხნის ამუშავების შემდეგ, 300-ზე მეტი ადგილობრივის დასაქმებას გეგმავს.

„დაუსრულებელი საუბრები ლიბერალიზაციაზე ახალისებს ნარკოდანაშაულს!

დაუსრულებელი საუბრები ლიბერალიზაციაზე, მხოლოდ ახალისებს ნარკოდანაშაულს, ახდენს ნარკოტიკების პროპაგანდას და ხელს უშლის პრევენციას — ეს განცხადება შს მინისტრის მოადგილემ **ნათია მეზვრიშვილმა** გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა:

„გვსურს, გამოვეხმაუროთ ბოლო დღეების განმავლობაში ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ თითქოს არსებობს მავნე და არამავნე ნარკოტიკები, რომ თითქოს „მეფედრონი“ კლავს და სხვა სინთეტიკური ნარკოტიკი ან „ჰეროინი“ — არა. ამგვარი მსჯელობა, ისევე, როგორც დაუსრულებელი საუბრები ლიბერალიზაციაზე, მხოლოდ ახალისებს ნარკოდანაშაულს, ახდენს ნარკოტიკების პროპაგანდას და ხელს უშლის პრევენციას. შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ნარკოდანაშაულთან ბრძოლა და ეს ბრძოლა დღევანდელი გამოწვევების ფონზე კიდევ უფრო გამკაცრდება“, — განაცხადა მეზვრიშვილმა.

თბილისისთვის 100 ავტობუსის შესყიდვაზე ტენდერი გამოცხადდა

დედაქალაქის მერიამ და შპს „სატრანსპორტო კომპანიამ“ 100 ავტობუსის შესყიდვაზე ერთობლივი ტენდერი გამოაცხადეს. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ 2018 წლის 25 დეკემბრამდე თბილისი ეტაპობრივად ასი, ევრო 6-ის სტანდარტის, 10-მეტრიანი, 3-კარიანი, დიზელის საწვავზე მომუშავე და შშმ პირებზე ადაპტირებული ავტობუსით უნდა უზრუნველყოს.

ტექნიკური პირობების თანახმად, ავტობუსები უნდა იყოს 2018 წელს გამოშვებული, ერთი მარკისა და მოდელის და მათი გარბენი 1700 კმ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

ჯამში 69 მგზავრზე გათვლილ ავტობუსს უნდა გააჩნდეს მგზავრთათვის განკუთვნილი 23 დასაჯდომი ადგილი და მინიმუმ 1 შშმ პირზე გათვლილი სივრცე. ავტობუსი აღჭურვილი უნდა იყოს შშმ პირებისთვის განკუთვნილი მექანიკური პანდუსით, ეტლის დასამაგრებელი მოწყობილობით, სახელურებითა და გაჩერების მოთხოვნის ღილაკით.

გარდა ამისა, სატენდერო პირობებით, ავტობუსის კომპლექტაციაში გათვალისწინებულია ინტეგრირებული გათბობის, კონდიცირების, ვენტილაციისა და ანტივანდალური ვიდეო მონიტორინგის სისტემების არსებობა.

მიმდინარე წლის ბოლომდე პრეტენდენტმა თბილისის მერიას პირველ ეტაპზე 69 ავტობუსი უნდა მიაწოდოს, ხოლო მეორე ეტაპზე 31. თბილისის მერიისა და შპს „სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ 100 ავტობუსის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 45 მილიონ ლარს შეადგენს.

ინტერნეტით ნარკოტიკების ვაჭრობის სქემა გაშიფრულია!

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინტერნეტით ნარკოტიკების რეალიზაციის დანაშაულებრივი სქემა გამოავლინა, — ამის შესახებ ბრიფინგზე შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა განაცხადა.

მისი ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ის დანაშაულებრივი სქემა გამოავლინეს, რომლის მიხედვითაც, დაკავებულები ნარკოტიკული საშუალებების რეალიზებას ინტერნეტის გამოყენებით ახდენდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საქართველოს მთავარ პროკურატურასთან ერთად, 2 თვის განმავლობაში განხორციელებული კომპლექსური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ქალბატონი და 1994 წელს დაბადებული მამაკაცი, ინტერნეტის გამოყენებით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ის დანაშაულებრივი სქემა გამოავლინეს, რომლის მიხედვითაც, დაკავებულები ნარკოტიკული საშუალებების რეალიზებას ინტერნეტის გამოყენებით ახდენდნენ. პოლიცია, ფარული საგამოძიებო მოქმედებების მეშვეობით, ბრალდებულთა გადაადგილების მარშრუტებს აკვირდებოდა, სწავლობდა დანაშაულებრივი საქმიანობის ტაქტიკას და ფინანსურ რესურსებს. ასევე, განხორციელდა რამდენიმე ე.წ. საკონტროლო შესყიდვა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ:

ნარკოტიკების შეძენის მსურველები ბრალდებულებს ერთ-ერთი ონლაინ აპლიკაციის გამოყენებით უკავშირდებოდნენ. სასურველი ტიპის და ოდენობის ნარკოტიკის შეკვეთის შემდეგ, მყიდველი ბრალდებულებისგან იღებდა შეტყობინებას, სადაც მითითებული იყო ანგარიშის ნომერი და თანხის ოდენობა. ანგარიშზე თანხის ასახვის შემდეგ, ნარკოტიკის შეძენის მსურველებს იმავე აპლიკაციის მეშვეობით ეგზავნებოდათ ფოტოშეტყობინება, შეძენილი ნარკოტიკის ადგილმდებარეობისა და მისამართის მითითებით.

გამოძიებამ დაადგინა ეს ადგილები, ნარკოტიკების ე.წ. სამალავები, რომლებიც თბილისის სხვადასხვა უბანში მდებარე საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში იყო მოწყობილი.

მიმდინარე წლის 7 მაისს, აღნიშნული კომპლექსური საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ორივე ბრალდებული ნარკოტიკების გასაღების ბრალდებით იქნა დაკავებული.

პოლიციამ, ქალბატონის პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას, სამალავებში დასატოვებლად გამზადებული 43 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღო.

საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგად კი, ე.წ. სამალავებიდან ამოღებულია სარეალიზაციოდ გამზადებული, 19 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკი.

გამოვლენილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტი.

კერძოდ, 2018 წლის 7 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციისა და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა სასაზღვრო პუნქტ „კარწახში“ აზერბაიჯანის ორი მოქალაქე — 1969 წელს დაბადებული ს.ე. და 1982 წელს დაბადებული ჰ.შ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა მათი ავტომანქანის დათვალიერებისას, ავტომობილის სალონში გადამალული 1 400 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ აღმოაჩინეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს, რაც 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აქვე, გვსურს, გამოვეხმაუროთ ბოლო დღეების განმავლობაში ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ თითქოს არსებობს მავნე და არამავნე ნარკოტიკები, რომ თითქოს „მეფედრონი“ კლავს და სხვა სინთეტიკური ნარკოტიკი ან „ჰეროინი“ — არა. ამგვარი მსჯელობა, ისევე, როგორც დაუსრულებელი საუბრები ლიბერალიზაციაზე, მხოლოდ ახალისებს ნარკოდანაშაულს, ახდენს ნარკოტიკების პროპაგანდას და ხელს უშლის პრევენციას. შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ნარკოდანაშაულთან ბრძოლა და ეს ბრძოლა დღევანდელი გამოწვევების ფონზე კიდევ უფრო გამკაცრდება“, — აღნიშნა ბრიფინგზე მეზვრიშვილმა.

ღამის კლუბების წარმომადგენლების ერთობლივი მოთხოვნა

ღამის კლუბების წარმომადგენლები ერთობლივ განცხადებას აკეთებენ და მოითხოვენ, დროულად დადგინდეს, რა მავნე ნივთიერებით გარდაიცვალნენ ახალგაზრდები. მათი თქმით, სამწუხაროა, რომ ელექტრონული მუსიკის ინდუსტრიის მიმართ დაუსრულებელი ცილისმწამებლური კამპანია მიმდინარეობს, ვრცელდება უამრავი ბინძური ჭორი და ბრალდება. ერთობლივი განცხადება გუშინ კლუბ „ბასიანთან“ გაკეთდა:

„პოლიტიკურად ანგაჟირებული ჯგუფები კლუბების დახურვას ითხოვენ. მათი მოქმედების მეთოდები იმდენად გასცდა ყოველგვარ ზღვარს, რომ მზად არიან, ცილი დასწამონ კლუბებს ადამიანების სიცოცხლის ხელყოფაში. შეგახსენებთ, რომ ბოლო სამი კვირის განმავლობაში ქვეყანაში უცნობ მომწამვლელ სუბსტანციას 5 ახალგაზრდა ადამიანი ემსხვერპლა, რომლის შემცველობა ჯერ კიდევ დაუდგენელია, მისი მომწოდებელი კი დაუსჯელი. პირველ რიგში, ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ამ ტრაგედიის გამო და სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილთა ოჯახებსა და ახლობლებს.

ჩვენ ყველაზე მეტად ვართ დაინტერესებული გამოძების შედეგებით, იმისთვის, რომ დადგეს ობიექტური ჭეშმარიტება და ნათელი მოეფინოს სიმართლეს. იმედს გამოვთქვამთ, რომ ყველაფერი მალე დასრულდება. მოვითხოვთ, დროულად იქნას დადგენილი, თუ რა მავნე ნივთიერების შედეგად გარდაიცვალნენ ახალგაზრდა ადამიანები და სასწრაფოდ მივიღოთ პრევენციული ზომები, ექსპერტიზის პასუხები გახდეს საჯარო. შესაბამისმა უწყებებმა მიიღონ ყველა ზომა, რომ ვებგვერდების საშუალებით მომწამლავი ნივთიერებები ხელმისაწვდომი არ იყოს“, — აღნიშნულია განცხადებაში.

„ლიბერალი“ ლომები და „მეოცნებე“ კურდღლები

ვფიქრობ, ჩვენს ცნობისმოყვარე მკითხველს წერილის სათაურიდან გამომდინარე, არ გაუჭირდება მიხვდეს, დღევანდელი ცივილიზებული მსოფლიოს მკვიდრთაგან, რომელ „ლიბერალ“ ლომებზე და რომელ „მეოცნებე“ კურდღლებზე გვექნება საუბარი. რა თქმა უნდა, ლაპარაკია ლიბერალებად მონათლულ დასავლელ ფსევდოლიბერალ ლომებზე, რომლებიც პლანეტის განვითარებად ქვეყნებში დიქტატორულ-ავტორიტარული რეჟიმების მომიზეზებით, აწყობენ ფერად-ფერად რევოლუციებს, ეწევიან აგრესიულ ლიბერალურ პროპაგანდას, დიდი ეროვნული ტრადიციების მქონე ერებში ებრძვიან რელიგიური აღმსარებლობის, მრწამსის, რასის, სქესის, ენის ადამიანური უფლებების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ერთგულებას, დემოკრატიისა და თავისუფლების სახელით ქადაგებენ ყველა ჯურის უზნეობასა და გარყვნილებას.

თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი გავლენიანი ორგანიზაციის მხარდაჭერით, როგორიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაა, გარკვეული ძალები ადამიანებს არწმუნებენ, რომ რეალურად 50-ზე მეტი გენდერი არსებობს, ანუ ყველაფერი, რაც წმინდა სამეცნიერო თვალსაზრისით ანომალია და ნორმიდან გადახრაა, თურმე სრულიად ბუნებრივი ამბავია, თურმე სოდომი და სხვა მსგავსი გარყვნილება, ამორალობა კი არა, ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ 21-ე საუკუნეში ადამიანი ნორმად აღიქვამდეს კაცის კაცზე და ქალის ქალზე ქორწინებას, ნორმად აღიქვამდეს მამაკაცს, რომელიც თავს ქალად მიიჩნევს და სულაც არ ეუხერხულება შეყვარებულ მამაკაცს მისთხოვდეს.

აი, სწორედ ამ უზნეო ზნეობის „ევროპული სტანდარტების“ დამკვიდრებას მოითხოვენ საქართველოში ჩვენი „მეგობრები“ და „კეთილმსურველები“ ევროპიდან და ამერიკიდან, რასაც ხალხის წინააღმდეგობის მიუხედავად, თავის კანტურით და ტუჩების ცმაცუნით ეთანხმებიან ჩვენი „კურდღელა“ მთავრობის თავკაცები. ამის დასტურად გამოდგება თავის დროზე პარლამენტის მიერ მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ მიღებული „ანტიდისკრიმინაციული კანონი“, რომელსაც დასავლელი ლიბერასტები საქართველოში ძირეული დემოკრატიული ცვლილებების დასაწყისად აფასებენ. მაგრამ მხოლოდ დასაწყისად, რომელსაც უახლოეს მომავალში კიდევ უფრო მეტად ღირებული სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც უნდა მოჰყვეს.

აკი მოჰყვა კიდეც, საქართველოში უკვე ნელ-ნელა მიდის პროცესები იმ მიმართულებით, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას საკანონმდებლო ბაზა შეუმზადონ, რის თაობაზეც სახალხო დამცველმა ლომჯარიამ პირველი მინიშნება უკვე გააკეთა, როცა ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის სამოქალაქო პარტნიორობის უფლების მინიჭებაზე ალაპარაკდა. ჰოდა, პედერასტთა პარტნიორობის აღიარებიდან მათი ქორწინების დაკანონებამდე რაღა დარჩა, თანაც ისეთ ქვეყანაში, რომლის მთავრობაშიც დასავლელი „ლიბერალი“ მბრძანებლების ყურმოჭრილი მონები სხედან.

აღარაფერს ვამბობ იმ გაუზომავაუწონავ ღვაწლსა და ამაგზე, რასაც ჩვენი ევროამერიკელი „პატრონები“ საქართველოს ნატოში გასაწევრებლად ეწევიან, თუმცა ვირეშმაკობენ, მალავენ ჩვენი ნატოში მიუღებლობის ნამდვილ მიზეზს (რუსების სასტიკ წინააღმდეგობას) და რეალობის შესანიღბად მორგებულად იყენებენ „ნატოს რაღაც სტანდარტების“ დაკმაყოფილების მოთხოვნას. თითქოს და საქართველო კი ასრულებს ალიანსის საპროგრამო მოთხოვნებს, მისი ჯარისკაცები წარმატებით იხოცებიან ნატოს საბრძოლო პოსტებზე, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ბოლომდე ვერ მოუცილებია საბჭოური მენტალიტეტი, ცალკეულ შემთხვევებში იჩაგრებიან ლგბტ-ელები და რელიგიური უმცირესობები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველო ჯერ კიდევ არ არის მზად ნატოში შესასვლელად.

ერთი სიტყვით, რეალობა ისეთია, რაზეც იტყვიან — „მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო“. ფაქტობრივად, ნატო ცდილობს საქართველოში შემოსვლას, მაგრამ რუსეთი ამის უფლებას არ აძლევს. ჩვენ კი გვარწმუნებენ, რომ საქართველო ცდილობს ნატოში შესვლას, მაგრამ ჯერ არ დაუმსახურებია. ამიტომ რაც შეიძლება მეტი უნდა ვივარჯიშოთ დემოკრატიაში, ღირსეულად დავიმსახუროთ განატოელება და ალიანსის კარიც თავისთავად ნებიერად გაგვეხსნება.

პატივცემულო მკითხველო, თქვენ როგორ ფიქრობთ, საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გასაწევრებლად ნატოს რუსეთის კეთილი ნება აკლია თუ ჩვენ გვაკლია ვარჯიში?!

ამ „რთულ“ კითხვაზე, აგრეთვე ქვეყანაში დაგროვილ სხვა უამრავ კითხვაზე პასუხის გაცემა, რა თქმა უნდა, არ გაჭირდებოდა, რომ, როგორც უკვე ვთქვი, ხელისუფლებაში მოკალათებული არ გვყავდნენ დასავლელი „პატრონების“ მითითებების უსიტყვოდ შემსრულებელი „კურდღლები“, ხალხის უფლებების დამცველად — ლგბტ-ს იდეოლოგი ლომჯარიები და სხვა მისნაირები, რომელთა წყალობითაც საქართველოში ყველას და ყველაფრის უფლება დაცულია, გარდა ეროვნულად მოაზროვნე ადამიანისა, ხალხისა, რომელმაც არ მიიღო ლიბერალური გარყვნილება და ღიად გაემიჯნა ამ ყველაფერს.

რაღა შორს წავიდეთ, ამის დასტურად ამასწინანდელი მაგალითიც გამოდგება, როცა თბილისის საქალაქო სასამართლომ, ვიგინდარა ჟურნალისტ გაბუნიას მიერ გაკეთებულ ქრისტეს მგმობელ განცხადებასთან დაკავშირებით „რუსთავი-2“-თან გამართული საპროტესტო აქციის მონაწილე 6 პატრიოტს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. როგორც ცნობილმა უფლებადამცველმა დავით ლორთქიფანიძემ პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, საქართველოს ხელისუფლებას „ქართული მარშის“ ბიჭების ციხეში ჩასმა სულაც არ უნდოდა და არც ამის საფუძველი ჰქონდა, მაგრამ საქმეში ჩაერია აშშ-ის საელჩო, რომელმაც „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ მიმართული აქცია საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგო აქტად ჩათვალა და ხელისუფლება აიძულა, „მარშის“ წევრების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაეწყო.

ეს მაგალითი თვალხილული დასტურია იმისა, რომ საქართველოში მიმდინარეობს გადამწყვეტი იდეოლოგიური ბრძოლა, რათა ქვეყანაში საბოლოოდ დამყარდეს აგრესიული ლიბერალიზმისა და ანტიმართლმადიდებლური ძალების ტირანია. დიახ, სხვა რა შეიძლება დავარქვათ სახელად იმას, თუ არა ტირანია, რაც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მოხდა — თავისუფლება აღუკვეთეს სარწმუნოებისთვის წამებულ ქართველ ვაჟკაცებს, რომელთაც ვერ აიტანეს მაცხოვრის შეურცახყოფა სააკაშვილის მიერ ძაღლთაპირი ნაცების რუპორად დანატოვარი „რუსთავი-2“-ის ვიგინდარა ჟურნალისტებისგან.

განა ამის მომსწრენი არ გავხდით ამ ცოტა ხნის წინათაც, როცა ფრიდომ ჰაუსმა თავის „უტყუარ“ გამოკვლევაში საქართველოს ხელისუფლებას დემოკრატიის ხარისხი დაუწუნა?!

და რატომ დაუწუნა, არ იკითხავთ? თურმე იმის გამო, რომ „რუსთავი-2“ და ზოგი სხვა ტელეარხი მთავრობის მხრიდან ზეწოლას განიცდიან, რაც მედიაპლურალიზმსა და თავისუფალ სიტყვას საქართველოში სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ჩვენდა გასაკვირად, პრემიერმა კვირიკაშვილმა ამჯერად როგორღაც გაბედა ეთქვა, რომ „ფრიდომ ჰაუსის“ კვლევა უზუსტო, დაუსაბუთებელ მონაცემებს ეყრდნობაო, მაგრამ ვინ დაუჯერა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ევროპარლამენტში უმალ გამოითქვა „კომპეტენტური“ აზრი, რომ საქართველოში მედიაპლურალიზმისა და მართლმსაჯულების ხარისხი მოიკოჭლებს და მას ხელისუფლებამ დროულად უნდა მიხედოს, თუმცა იმავე ამერიკელებსა და ევროპელებს რატომღაც მხედველობიდან გამორჩათ ექსპერტ მამუკა არეშიძის მიერ გაკეთებული სკანდალური განცხადება, სადაც ის ამბობს, რომ ჰაუსის კვლევის შედეგები 500 ათასი დოლარი დაჯდა და ეს თანხა დიდი ალბათობით ქართველმა მიშნაცებმა გადაიხადეს.

ასეთ არეულ-დარეულ ვითარებაში, როცა ქვეყანაში ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს, რაღა თქმა უნდა, ოღრაშობაში დაოსტატებული „რუსთავი-2“ წარმატებით აგრძელებს ერის „ზნეობრივი გაკეთილშობილების“ პროპაგანდას. ამ ორიოდე დღის წინათაც საყურიანმა კონჩიტამ (გაბუნია) მაყურებელს წარუდგინა დღევანდელი სექსცივილიზაციის გამორჩეული პერსონა — ვინმე მანიაკი მამაკაცი, რომელიც ცოლს სხვა მამაკაცებთან სექსს აიძულებდა და ამით ცოლთან ერთად თავადაც დიდად სიამოვნებდა. საკვარაუდო იყო, რომ ჟურნალისტი ამ ამაზრზენ ფაქტს უზნეობის დასაგმობად გამოიყენებდა, მაგრამ სულ ტყუილად, ავსული გაბუნია ამ ყოველივეს ისეთი ხალისითა და ენთუზიაზმით ყვებოდა, იმ ბილწ ქმარზე მეტად თვითონ სიამოვნებდა.

მარტო ეს არ იყო... იმ საღამოს ქალბატონმა ეკუნია კვესიტაძემ და არხის გენპროკურორმა ნიკა გვარამიამ ახალი გადაცემის („კვირის აქცენტები“) დაანონსებითაც გაგვახარეს. პირობა მოგვცეს, ჩვენთან არ მოიწყენთ, გადაცემაში ქოცების მისამართით ისეთი რხევა და ნძრევა იქნება, ქვეყანა შეზანზარდებაო. მე ნიკასა და ეკას რხევა-ნძრევისადმი, ცინცხალი ტყუილებისადმი, ჟურნალისტური არამზადობისადმი მოჭარბებული მიდრეკილება ადრინდელი გადაცემებიდანაც მახსოვდა და ამ გადაცემისთვის (უკვე ორჯერ გავიდა ეთერში!), აღარ მიყურებია. ნეტავ იმას, ვინც გარისკა და ამასაც უყურა!

ნათქვამია, ერთი დრო არავის შერჩებაო, ასე იქნება ამჯერადაც. დასავლელი ლიბერალების კარნახით ქვეყნის ზნეობრივი გაუკუღმართება არ შერჩებათ არც „მეოცნებეებს“ და არც ძაღლთაპირ ნაცებს და „რუსთავიორელებს“. ქართველი ხალხის ბუნება რომ ვიცი, ის ეკონომიკურ და სოციალურ გაჭირვებას გაუძლებს, მაგრამ საუკუნეების მანძილზე შესისხლხორცებული ტრადიციების დაკარგვას და ზნეობრივ-სულიერ დეგრადაციას — ვერა. ჰოდა, ვიდრე ვულკანი ამოიფრქვეოდეს, დროა, ხელისუფლება გონს მოეგოს და ქვეყნის ზნეობრივ გადარჩენაზე იზრუნოს.



ოთარ ხუციშვილი

◎ **რა უთქვამთ, რა მოუჩმახავთ!**

ბიოლოგიური იარაღი თბილისში?

რუსული საინფორმაციო ომი მიკროორგანიზმების წინააღმდეგ

ადამიანისა და ცხოველის დაავადებათა გამომწვევი მიკროორგანიზმების აღმოჩენა, ამოცნობა და ეპიდემიებთან ბრძოლის ეფექტიანი გზების დასახვა — როგორც რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრში (ლუგარის ლაბორატორიაში) განმარტავენ, ყველაფერი მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება. მშვიდობიანი მიზნების დაჯერება არ უნდათ მოსკოვში. რუსეთის ხელისუფლება და მისი ინტერესებით მოქმედი მედია ამერიკელების აშენებულ ლაბორატორიას, ათასნაირი დაავადების გავრცელების გარდა, ბიოლოგიური იარაღის შექმნაშიც ადანაშაულებენ.

რუსეთის საინფორმაციო ომი თანდათან ახალ ძალებს იკრებს: ბოლო ხანებში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ლუგარის ცენტრს რუსი ორმაგი აგენტის **სერგეი სკრიპალის** ბრიტანეთში მოწამვლის ფაქტთან მიმართებითაც მოიხსენიებენ. გამოდის ისე, რომ ცივილიზებულ მსოფლიოს ბრალდებებს უკუბრალდებებით უპასუხებენ. რუსეთის გაღიზიანებას იწვევს ის ფაქტი, რომ ლუგარის ცენტრში ჯანდაცვის პროექტებზე ამერიკის თავდაცვის სამინისტროს უმსხვილესი ბიოსამედიცინო კვლევითი ორგანიზაციის — უოლტერ რიდის სახელობის სამხედრო კვლევითი ინსტიტუტის (WRAIR) წარმომადგენლები მუშაობენ.

ლუგარის ცენტრი თბილისში და სამინიტორინგო ლაბორატორიების ქსელი რეგიონებში აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სააგენტოს (DTRA) დაფინანსებით აშენდა და კეთილმოეწყო. ლუგარის ლაბორატორია თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სიახლოვეს, ყველასთვის ხილულ ადგილას, 2011 წელს გაიხსნა, 2013 წლიდან საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრის დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო 2018 წლიდან მას მთლიანად ქართული მხარე აფინანსებს.

ლუგარის ცენტრი კავკასიის რეგიონში ერთადერთი ცენტრია, რომელიც ბიოუსაფრთხოების მე-3 დონის (BSL-3) სტანდარტებით არის აღჭურვილი და სადაც ინახება განსაკუთრებით საშიშ დაავადებათა (მაგალითად, შავი ჭირისა და ჯილეხის) გამომწვევი მიკროორგანიზმები. ობიექტის აშენების ერთ-ერთი მთავარი მიზანი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებული სახიფათო ბიოლოგიური მასალების გაუვნებელყოფა და საიმედოდ დაცვაა.

ლელა კუნჭულია, თომა გეგიაშვილი



9 მაისის აღნიშვნას საგანმანათლებლო ხასიათიც უნდა ჰქონდეს

ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ხშირად სპეკულაციისთვის იყენებენ და მცირე რაოდენობით დარჩენილი ვეტერანების ალალ გრძნობებზე თამაშობენ. როგორც წესი, სწორედ 9 მაისისთვის იწყება რუსეთიდან გააქტიურება – რუსი ბაიკერების „ღამის მგლების“ მიერ სხვადასხვა ქვეყნის დალაშქვრა და პრორუსულ განწყობებზე ნადირობა, გიორგის ლენტების ბუმი, რომლის მიბმასაც 9 მაისთან ცდილობენ... როგორც გიორგის ლენტების გამოყენების მოსურნეები გვარწმუნებენ, „ზა პაბედუ“ – სწორედ ასეთი მედალი გამოუშვა სტალინმა და მას გიორგის ლენტი მიაბნია. თურმე ასეთივე ლენტი ჰქონდა ბოროდინოს ბრძოლის გმირს პეტრე ბაგრატიონს.

შარშანდელის მსგავსად, წლეულსაც თბილისში, ბათუმსა და გორში 9 მაისს „უკვდავი პოლკის“ აქცია რუსეთის პარალელურად ჩატარდება. პრორუსული ორგანიზაციები სწორედ ამ სამ ქალაქში აპირებენ აქცია-მსვლელობის გამართვას და ირწმუნებიან, რომ „უკვდავი პოლკი“ იმ სურვილის დემონსტრირების საუკეთესო საშუალებაა, რომ გამარჯვებულთა შთამომავლობა არასდროს დაივიწყებს მათი წინაპრების გმირობას და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მნიშვნელობას. სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობა გამოვა ქალაქების ქუჩებში, გაივლის მარშით თავიანთი ნათესავების პორტრეტებით, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდნენ, ან ზურგში მუშაობდნენ.

„უკვდავი პოლკის“ აქციის ორგანიზატორები არიან საქართველოს სლავი ხალხების ეროვნული კონგრესის პრეზიდენტი ანჟელიკა ზახაროვა, „უკვდავი პოლკის“ ხელმძღვანელი საქართველოში რევაზ გოგიძე (ანჟელიკა ზახაროვას მეუღლე), საქართველოში რუს თანამემამულეთა კავშირ „სამშობლოს“ პრეზიდენტი ვალერი სვარჩუკი, „საქართველოს კაზაკთა მრავალნაციონალური კავშირის“ ატამანი მიხეილ ტელესნიკი. ანალოგიური მსვლელობები მოეწყობა რუსეთში, ესტონეთში, ბელორუსში, მოლდოვაში. აქცია „უკვდავი პოლკი“ პირველად 2011 წელს ტომსკში იყო ორგანიზებული. თუმცა კრემლის ფინანსური მხარდაჭერით საერთაშორისო მასშტაბი 2015 წლიდან მიიღო. რაოდენ სავალალოც არ უნდა იყოს, „უკვდავი პოლკის“ მსვლელობა შარშან ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალშიც მოეწყო.

ეს სამხედრო-პატრიოტული მარში ბოლო წლებში პუტინის რუსეთის მძლავრ იდეოლოგიურ იარაღად იქცა. ოფიციალურად „უკვდავი პოლკი“ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მებრძოლთა პატივის მიგებას ისახავს მიზნად, რეალურად კი ეს მოსკოვიდან დაფინანსებული მასშტაბური საერთაშორისო მოძრაობაა, რომელიც, პუტინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისტორიული სიმართლის დაცვას ემსახურება, რამაც საზოგადოება და ხალხები სულიერად უნდა შეადუღაბოს და ისტორიის რევიზიის უფლება არავის მისცეს.

რევაზ გოგიძის მტკიცებით, „უკვდავი პოლკის“ მსვლელობა შარშან მოსკოვიდან დაფინანსებული არ ყოფილა. უფრო მეტიც, რევაზ გოგიძე ირწმუნება, რომ არავითარი პრორუსულობა მათ მოძრაობაში არ არის, ისინი მხოლოდ დაღუპულ გმირებს იხსენებენ.

როგორ უნდა ვიზეიმოთ 9 მაისი ისე, რომ გაძლიერებული რუსული პროპაგანდის ფონზე რუსოფილობა არ დაგვწამონ?!

„სახალხო პარტიის“ ლიდერი **მამუკა გიორგაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ზოგიერთები ცდილობენ, ხელოვნურად დაუპირისპირონ ადამიანები ერთმანეთს. როდესაც ვსაუბრობთ ე.წ. „უკვდავი პოლკის“ რუსულ ნარატივზე, ესეც რუსული პიარკამპანიის შემადგენელი ნაწილია. დღევანდელ რუსეთს და, საერთოდ, საბჭოთა რუსეთს კაცობრიობის წინაშე რაიმე დამსახურება არ მიუძღვის, გარდა იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე ისინი ფაშისტურ გერმანიას დაუპირისპირდნენ. პირველ ეტაპზე კი რუსეთი სწორედ ის ქვეყანა იყო, რომელმაც ფაშისტურ გერმანიასთან ხელშეკრულება გააფორმა, რუსები და გერმანელები ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ და მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი ფაშისტური გერმანიის პარტნორად ითვლებოდა. სწორედ ამის მიჩქმალვა სურთ რუსებს და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფაქტს იშველიებენ.

„ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა რომ დადებითი მოვლენაა, ეს ძალიან კარგად იცის თითოეულმა ჩვენგანმა. შესაბამისად, ჩვენი მხრიდან უნდა აღვნიშნოთ კიდეც ფაშიზმზე გამარჯვება, მაგრამ რუსულ ნარატივში, რუსულ პროექტში არ უნდა ჩავსხდეთ. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას აღნიშნავენ ერთმანეთთან დაპირისპირებული მხარეები – გერმანია, საფრანგეთი, ბრიტანეთი, ამერიკა. ისინი აღნიშნავენ არა იმას, რომ ვიღაცამ ვიღაცას ომი მოუგო, არამედ იმას, რომ ფაშიზმი განადგურდა. ჩვენც სწორედ ამ კუთხით უნდა აღვნიშნოთ 9 მაისი და არა ისე, რომ თურმე საბჭოთა კავშირმა მოუგო ფაშისტურ გერმანიას. აქ სიტყვების თამაშია და შესაძლოა, პოლიტიკაში ჩაუხედავმა ადამიანებმა ვერც გაარკვიონ განსხვავება, მაგრამ იმან, ვინც ამაზე საუბრობს, ნამდვილად იცის ეს განსხვავება. ამიტომ როდესაც ცალკეული პირები 9 მაისის აღნიშვნას მოითხოვენ, საუბრობენ არა იმასთან დაკავშირებით, რომ ფაშიზმს ვებრძოლოთ ან ცივილიზებულ სამყაროს შევუერთოთ ხმა, არც იმაზე საუბრობენ, რომ ქართველებმა დიდი როლი შეიტანეს ამ საქმეში და ბევრი მათგანი შეეწირა ამ ყველაფერს, არამედ საუბრობენ სწორედ იმისთვის, რომ რუსეთს მოუგონ გული, რუსეთთან მოძებნონ შესაძრომი, რადგან ღიად ვერ ამბობენ თავიანთ რუსულ მიმართულებას. ღიად ვერ ამბობენ, რომ ან აგენტები არიან, ან ფულს იღებენ რუსეთისგან, ან შემცდარნი არიან და ამ ფორმით, ამ კეთილშობილური იდეის ქვეშ სურთ რუსული პროპაგანდის გავრცელება“, – აღნიშნა მამუკა გიორგაძემ.

მისივე თქმით, იგივე ითქმის ე.წ. გეორგის ლენტის შესახებაც. არანაირი შეხება ამ ლენტებს მეორე მსოფლიო ომთან არა აქვს, გიორგის ლენტების მფლობელი, ასევე, გიორგის ორდენისა და მედლების ყველა კავალერი საბჭოთა კავშირმა მეორე მსოფლიო ომამდე დახვრიტა. არც ერთ კავალერს არ უომია მეორე მსოფლიო ომში და, საერთოდ, გიორგის ლენტა ეს იყო რუსეთის იმპერიის სიმბოლო და არა მეორე მსოფლიო ომის რაიმე ატრიბუტი. გიორგის ლენტა ეკატერინე მეორეს დროიდან, ყირიმის აღებიდან, რუსეთ-თურქეთის ომიდან მოდის. რატომღაც ახლა ამ ყველაფრის ერთმანეთში აღრევა ხდება.

„ხელისუფლების ჩუმი თანხმობით და ფარული პროპაგანდით საქართველოდანაც ჩადიან ხოლმე 9 მაისის აღსანიშნად რუსეთში. ამით უდასტურებენ თავიანთ მორჩილებას რუსეთს. ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ჯანსაღი ღია დიალოგი ემოციების გარეშე და ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდეთ, რა არის ჩვენთვის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რას ნიშნავს რუსეთის დღევანდელი მოქმედებები. ამით მარტივად გაირკვევა ყველაფერი. თუმცა გულწრფელი ადამიანებიც არიან, ვეტერანებს არაფერს ვერჩით, რომლებმაც მამაცურად იბრძოლეს. ჩემს გარშემო ბევრი ბაბუა ჯერ კიდევ ცოცხალია და ღმერთმა აცოცხლოს. ცხადია, ეს იმათ არ ეხებათ, ვინც კახეთიდან ბერლინამდე ჩავიდა, რადგან ეს მათი ცხოვრებაა“.

მკვლევარი **მუხრან გულიაშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ 9 მაისის აღნიშვნას საგანმანათლებლო ხასიათიც უნდა ჰქონდეს, რადგან ახალგაზრდებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირს არ მოსწრებიან, არაფერი იციან საბჭოთა კავშირის ან ფაშიზმის შესახებ. ამდენად, თუკი 9 მაისი აღინიშნება და საგანმანათლებლო ხასიათი მიეცემა, ცუდი არ იქნება.

„დღევანდელმა მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, რა იყო საბჭოთა კავშირი, საკუთარი დასკვნა გამოიტანონ და ისტორიას ანალიტიკურად მიუდგნენ. ასევე, მოზარდებმა უნდა იცოდნენ, რა იყო ფაშიზმი, როგორ დავამარცხეთ იგი. სამწუხაროდ, ალბათ, ეს ისევ ჩვენი განათლების სისტემის ბრალია, რადგან მე-8-9 კლასელების უმეტესობამ არაფერი იცის სტალინზე, ჰიტლერზე. წესით, უნდა იცოდნენ, მაგრამ ჩემი გამოცდილებით, ძალიან ბუნდოვნად გიპასუხებენ. წლევანდელ წელსაც კონკრეტულად რა მიზანი აქვს 9 მაისის აღნიშვნას, არ ვიცი, მაგრამ საგანმანათლებლო ხასიათი თუ ექნება და ვეტერანებსაც მივაგებთ პატივს, კარგი იქნება. ხოლო, თუ „უკვდავ პოლკს“ სხვა ზრახვები აქვს, შესაბამისმა უწყებებმა, ალბათ, უნდა მიიღონ გადაწყვეტილება“.

მანანა ნოზაძე

ბრაზილიის ფოსტამ ახალი „ქართული“ საფოსტო მარკა გამოსცა

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილის აღსანიშნავად ბრაზილიის ფოსტამ ახალი საფოსტო მარკა გამოსცა.

მარკაზე გამოსახულია საქართველოში აღმოჩენილი უძველესი ქვევრი და განთავსებულია შემდეგი წარწერები: „საქართველო ღვინის აკვანი“ და „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილე“. აღნიშნული მარკა ხელს შეუწყობს საქართველოს ცნობადობის ამაღლებას და საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს დამკვიდრებას არა მარტო ბრაზილიაში, არამედ პორტუგალიურენოვან სამყაროშიც.

ვალერი კვარაცხელიას კომუნისტური სიმბოლიკის გამოყენება აუკრძალეს!

სუს-მა „სოციალისტური საქართველო“ გააფრთხილა, რომ 9 მაისს საბჭოთა სიმბოლიკა არ გამოიყენოს. ამის შესახებ უწყების მიერ გაგზავნილ ოფიციალურ დოკუმენტშია ნათქვამი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პარტიას საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტს ახსენებს და განმარტავს:

„თავისუფლების ქარტია“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად მოგმართავთ, არ დაუშვათ და აღმოფხვრათ ზემოხსენებულ ღონისძიებებზე (9 მაისს) კომუნისტური ტოტალიტარული სიმბოლიკის გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ნორმები“, – წერია წერილში.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174(16) მუხლის მიხედვით, გაფრთხილების მიუხედავად, თუ პირი გაფრთხილებას არ გაითვალისწინებს, იგი 1000 ლარით დაჯარიმდება.

სუს-ის მიერ გაგზავნილ მოთხოვნას „სოციალისტური საქართველოს“ ლიდერი ვალერი კვარაცხელია „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ავრცელებს და მოუწოდა მხარდამჭერებს, 9 მაისს ვაკის პარკში დაგეგმილ აქციაზე მივიდნენ.

პუტინმა ქართველ ხალხს ფაშიზმზე გამარჯვება მიულოცა!



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ფაშიზმზე გამარჯვება ქართველ და უკრაინელ ხალხს და ოკუპირებული ცხინვალისა და სოხუმის ეგრეთ წოდებულ ლიდერებს მიულოცა. ინფორმაცია კრემლის საიტზე გამოქვეყნდა. **„ვლადიმერ პუტინმა მიულოცა აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდოვას, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის ლიდერებს და ასევე საქართველოსა და უკრაინის ხალხს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 73-ე წლისთავი“,** – ნათქვამია კრემლის პრესრელიზში.

„დაკარგული დროისა“ და სამშობლოს ძიებაში

რუსუდან (რუსკა) ჟორჟოლიანი 7 წლის იყო, როცა მშობლებმა ომს აფხაზეთიდან სვანეთში გაარიდეს, შემდეგ თბილისში გადმოიყვანეს... ასე შეიკრა, იმ უდიდესი განსაცდელის ჟამს, პატარა გოგონასთვის საქართველოს მთლიანობის განცდა.

მის ბავშვურ მეხსიერებაში ჩარჩა ტკივილი, მშობლიური სახლიდან გამოქცევის ელდა, რომელიც არსად გამქრალა, სადღაც მისი მეხსიერების (თუ სულის) სიღრმეში სევდიანად მიიყუჟა, პერიოდულად თავს ახსენებს და ათქმევინებს: „ჩემი თაობა ნანგრევებში გაიზარდა. ბუნებრივია, რომ იმის გარკვევა, რატომ დაინგრა ეს შენობა, რა აკლდა ან რა ჰქონდა ზედმეტი, ჩვენზე დაწერილი იმ წიგნის წაკითხვასავითაა, რომლის ბოლო გვერდები ცარიელია და ჩვენი შესავსები“.

ამ გვერდების შევსების მისია განგებამ რუსკა ჟორჟოლიანსაც მანამდე დააკისრა, ვიდრე ამას თვითონვე გააცნობიერებდა. ახლა კი მტკიცედ ამბობს, რომ მისი „ყველაზე დიდი სურვილია“, „მომავალი რომანის თემა იყოს ის, რაც აფხაზეთში გადაგვხდა თავს...“.

რუსკა 11 წლის იყო, როცა იტალიაში (პალერმოში) დევნილი ბავშვების ჯგუფთან ერთად ჩავიდა. სწორედ აქედან დაიწყო მისი „შვილობილობისა“ და მოგვიანებით, მწერლობის ისტორიაც.

ის უკვე იტალიურ ენაზე დაწერილი 2 რომანის ავტორია. მანამდე 2009 წელს რუსკას ერთი ლექსი პალერმოში გამართულ ლიტერატურულ კონკურს „მონდელო ჯოვანიზე“ მთავარი პრიზით დაჯილდოვდა. მისი პირველი რომანი კი „შენი აქ ყოფნა, როგორც ქალაქი“ 2016 წელს ჰერმან გეიგერის კონკურსზე ჟიურიმ „ნაწარმოების სიღრმისა და მნიშვნელობის“ თვალსაზრისით გამოარჩია. იტალიურმა გამოცემებმა „ლა სტამპა“, „ლა რეპუბლიკა“, „უნიტა“ და სხვ. რუსკა ჟორჟოლიანის რომანს დადებითი რეცენზიები მიუძღვნეს და ის პერსპექტიულ მწერალთა შორის მოინიშნეს. რუსკამ ახლახან მეორე რომანიც დაასრულა და გამომცემლის მოლოდინშია. თუმცა ამ რომანების ქართულ თარგმანებს ქართველი მკითხველიც დიდი ინტერესით ელოდება.

რუსკამ პალერმოს უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტი დაამთავრა, სადიპლომო დაიცვა ქართველ ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილზე და მის ნაშრომებს ამჟამად იტალიურ ენაზე თარგმნის.

მართალია, რუსკას იტალიურენოვან მწერლად აღიარებენ, მაგრამ თავად მიაჩნია, რომ მისი „სამჭედლო“ მაინც „ქართულ ყაიდაზეა აგებული“ და ყველაზე ღირებული რამ ამ გრდემლზე ალბათ „ქართულ მასალაზე ქართული ხელით“ გამოიჭედება.

> რუსკა ჟორჟოლიანი სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. მისივე თქმით „ეს არ იქნება უძღები შვილის დაბრუნება“ და მას „მამის არც ერთი ტალანტი არ ექნება გაფლანგული“.
>
> რა საოცრად დამაიმედებელი ნათქვამია, მით უფრო იმ დროს, როცა ქვეყნიდან უწყვეტ ნაკადად მიედინება მისი ინტელექტუალური ძალა და გენოფონდი – ახალგაზრდობა.
>
> დამაიმედებელია იმიტომაც, რომ რუსკას ჰყავს და ქეთევანი, რომელიც მალე პალერმოს სამხატვრო აკადემიის მაგისტრის ხარისხს მიიღებს ფერწერაში და ჰყავს ძმა, ლაშა, რომელიც ლონდონში ცხოვრობს და ელექტრონული მუსიკის კომპოზიტორია და რუსკას ნათქვამს დაბრუნებაზე მათზეც განვავრცობ.
>
> დღეს გვესაუბრება მწერალი **რუსუდან (რუსკა) ჟორჟოლიანი**.

* * *

– რუსკა, იტალიელი ჟურნალისტები „პალერმოს შვილობილს“ გიწოდებენ. როდის დაიწყო „შვილობილობის ამბავი“ და რა ემოციებს და სათქმელს იტევს ის?

– ეს ამბავი 1996 წელს დაიწყო, როცა პირველად ჩავფრინდი იტალიაში ორასამდე ჩემს ბედში მყოფ თანატოლთან ერთად და როცა ზღვა დავინახე, კარგა ხნის უნახავი, თითქმის დავიწყებული ზღვა, თითქოს წართმეული ბავშვობა დამიბრუნდა. ეს ისტორიით გაჯერებული, პალმებიანი ქალაქი, მზის თავისებური მხურვალეებით (ძირითადად, ივნისის პირველ რიცხვებში ჩამოვდიოდით ხოლმე, სკოლა როცა მთავრდებოდა და არდადეგები იწყებოდა) და ექსპრესიული ხალხით ჩემი მეორე სამშობლო გახდა. მე ის არ ამირჩევია, უფრო თვითონ ამირჩია, როგორც ნამდვილ სამშობლოსთან დაკავშირებით ხდება. ესეც რომ არ ყოფილიყო, წყურვილი მომიკლა, დამაპურა, მერე კი, მგზავრობით დაქანცულს სკამზე რომ ჩამომეძინა, ხელში ამიყვანა და დიდი სიფრთხილით გრილ თეთრეულში ჩამაწვინა. თუ ეს შვილობილობა არაა, რაღაც ძალიან მსგავსია უსათუოდ.

– ცოტა უფრო მეტს ხომ არ გვეტყოდით „თითქმის დავიწყებულ ზღვასთან შეხვედრის“ ასოციაციაზე?

– ქართველებს, ზოგადად, ზღვის მიმართ შიში უფრო გვაქვს, ვიდრე სიყვარული. ძველი ბერძნებიც ასე იყვნენ. შესაბამისად, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, შიში – ეს ვერცხლისწყალივით გრძნობა, ან სულ მატულობს, ან სულ იკლებს, ერთ ადგილას არასოდეს დგას – მაინცდამაინც სიყვარულს თუ არ „შეიქმს“, რაღაც ლტოლვას ნამდვილად აჩენს. ლტოლვა კი – პლატონმა გვასწავლა – შეცნობის პირველი საფეხურია. ზღვის შეცნობას ამიტომაც ადარებენ ადამიანის ბუნების შეცნობას – რაც ასევე თითქმის შეუძლებელია. მახსოვს, როგორი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ლეო ქიაჩელის „ალმასგირ კიბულანმა“. მამა შვილის საძებნელად ზღვაში შედის, და ეს ლეთეს წყალი კი არაა, მავიწყობის, პირიქით, შვილის სახის სამუდამოდ აღბეჭდვის, მისი სახის შეცნობის დასაწყისია, რის მიღმაც სიცოცხლე სხვა რაღაცად იქცევა. ლიტერატურა ზღვიდან იწყება – აქაველების ტროასკენ დაძვრით. ზღვიდან ამოდიან ის გველებიც, ლაოკოონს რომ მოუღებენ ბოლოს. ზღვა გვაშინებს და თან გვიზიდავს. შეიძლება კაპიტან აქაბივით ჩვენი „მობი დიკის“ ძიებაში სულ გადავიდეთ ჭკუიდან, ანდა ოთარ ჭილაძის ბედიასავით მხარზე გადებული თოკით ვზომოთ „ზღვის უკუსვლა“. საქმე ისაა, რომ რომელ მხარესაც არ უნდა ვეცეთ, ადრე თუ გვიან ზღვის წინაშე აღმოვჩნდებით და მნიშვნელობა არ ექნება, ვიცით თუ არა ცურვა. ეს ზღვაა ცხოვრება. ლიტერატურაც მთელი თავისი დღე და მოსწრება ამაზე ჰყვება – ვინ როგორ შედის ამ ზღვაში, როგორ ცურავს, როგორ ებღაუჭება ნაფოტებს, როგორ იქნევს ხელებს, როგორ გამოირიყება მერე დაკარგული ნივთიით და რჩება ნიშანივით, ნაპირზე მათთვის, ვინც აწი მოვა.

მე სიცილიაზე გამოვირიყე და გასაკვირი არაა, რომ ზღვაში რაღაც მშობლიური აღმოვაჩინე – ეს დაკარგული ზღვის პოვნაც იყო და თან სხვა რამეც. ქართულ ენაში „ზღვას“, „ზღვარს“, „ზღურბლს“ ერთი ფუძე აქვთ – მიუხედავად იმისა, გაჩერდები თუ გადააბიჯებ მას, უცვლელი მაინც არაფერი დარჩება.

– იტალიაში ჩასვლისას პირველად რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

– ხმაური იყო პირველი შთაბეჭდილება: თვითმფრინავის ძრავების ხმა, ბავშვების ჟრიამული, დამხდურების ჟესტიკულაცია და სწრაფი საუბარი. თავიდან ამ ყველაფერმა თუ არ დამთრგუნა, ნამდვილად დამაბნია. სიჩუმე მიყვარდა ყოველთვის, საგნების უხმო მეტყველება. მამაჩემისგან მომდევს ალბათ – ხმაურს ვერასოდეს იტანდა. პალერმოს მფარველის დღესასწაული იყო, მახსოვს. მრავალფერად იყო მორთული ქალაქის ცენტრი. შუაღამისას ფეიერვერკებმა გაანათეს ცა. „მოდი, ნახე, რა სილამაზეაო“, – მეძახდნენ აივნიდან ჩემი იტალიელები. მე მიახლოებასაც ვერ ვბედავდი: დეტონაციის ხმას მაგონებდა და ომს. იმ ღამით საწოლის ქვეშიდან ძლივს გამომიყვანეს. მას მერე ფეიერვერკების ხმაზე სადმე შეყუჟვის, გადაკარგვის თუ გაქრობის სურვილი მიჩნდება. აქაურების ხმამაღალ საუბარს ნელ-ნელა შევაჩვიე ყური, ზოგჯერ ვეღარც კი ვამჩნევ. ასეთ დროს ვერ ვხვდები – მე მოვათვინიერე ხმაური, თუ პირიქით, თვითონ მოათვინიერა ჩემი ყური ფინიასავით. ყველაზე არსებითი განსხვავება ჩემთვის, ამ გადასახედიდან, ეს იყო. ყველაფერი დანარჩენი დეტალებია, სტატისტიკა, ეკონომიკა და მისთანანი.

– 11 წლის იყავით, როცა პირველად შეეხეთ იტალიურ ენასა და კულტურას. ეს ის ასაკია, როცა მოზარდი ჯერ კიდევ მშობლიური კულტურის გაცნობისა და შეცნობის პროცესშია. არ გაგიჭირდათ, ორი სრულიად განსხვავებული და თვითმყოფადი ენისა და კულტურის შეთვისება, მათ შორის საზღვრის გავლება?

– საზღვრის გავლება სწორი ინტუიციის კვალობაზე ხდება. ფილოსოფიურზე სწავლის პირველ პერიოდში პარადოქსებს შორის ყველაზე მეტად სორიტის პარადოქსი მომწონდა – ქვიშის რამდენი მარცვალია საჭირო, რომ ქვიშას გროვა ეწოდოს? სად გადის ზღვარი რამდენიმე მარცვალსა და გროვას შორის? რამდენი მარცვლის გამოკლებით ხდება გროვა უბრალო ნაყარი? ალბათ რაღაც მნიშვნელოვან ინტუიციას ვაწყდებოდი ამ პარადოქსში – სად მთავრდება ერთი კულტურა და იწყება მეორე? კულტურა ენაზე დაიყვანება? როგორც ორი ან მეტი ენის სწავლა ხელს არ უშლის ერთმანეთს, ასევეა ორი ან მეტი კულტურის შეხვედრა? „შეხვედრა“ უფრო უპრიანი ტერმინია ამ შემთხვევაში თუ „შეჯახება“? ზღვრის გავლების პრობლემა ჩემი მუდმივი თავსატეხია. ახალ კულტურასთან გაშინაურება არ გამჭირვებია, ეს ვიცი. იმ ასაკში ვიყავი, უკვე შეცნობილს რომ ვეღარ დაივიწყებ, უცხოს შეცნობის უნარი კი ჯერ ისევ ხალასი გაქვს. ერთ დროს ამ ასაკის ბიჭებს საბრძოლველად აგზავნიდნენ, გოგოებს კი ათხოვებდნენ. როგორც ნებისმიერი სახის გარდატეხას, სხვა კულტურასთან ზიარებასაც, ალბათ, სათანადო დრო და ადგილი სჭირდება. რასაკვირველია, ეს ყველაფერი მოიაზრება იმ შეუცნობელის ფონზე, რომელსაც ვინ ნიჭს ეძახის, ვინ – მარიფათს, ვინ, უბრალოდ, კაცსა და მის გუნებას.

– რუსკა, თქვენს პირველ რომანში „შენი აქ ყოფნა, როგორც ქალაქი“ საბჭოეთისა და მისი ნაწილის საქართველოს ამბები იტალიურ ენაზე გადმოეცით. საბჭოთა პერიოდში ბავშვი იყავით, თუმცა, მისი დანგრევისას მოქნეულმა კუდმა სხვებთან ერთად თქვენც მშობლიური სახლიდან შორეულ იტალიაში გადაგტყორცნათ. ჯერ ერთი, რას ნიშნავს რომანის ეს უცნაური სახელი და მეორეც, სულ სხვა სამყაროში მცხოვრებმა ადამიანმა რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ეს თემა, როცა საბჭოეთი უკვე დანგრეული იყო?

– რაც არ მინახავს, ის მიზიდავს. რაც არ ვიცი, იმის გაგება მინდა. ადვილია დაიჯერო იმის არსებობა, რასაც ხედავ ან ხელით ეხები. რთული იმის დაჯერებაა, რაც უხილავია. „შენი აქ ყოფნა, როგორც ქალაქი“ პასტერნაკის ლექსიდანაა აღებული. მისი წინა სტრიქონია: „საერთო ჰაერში ვართ, მე და შენ ერთად“. ჰაერზე მეტად მოუხელთებელი და ამასთანავე მასზე მეტად საჭირო არის რამე? დიახ, არაფერი ქრება ან იკარგება უკვალოდ, რაღაც ნიშნები მაინც რჩება. აი, საყვარელი ადამიანი რომ აღარ არის და იმ ოთახში, სადაც მას სიარული, ძილი, საუბარი უყვარდა, მაინც რომ იგრნობა მისი „ყოფნა“ – ამას გულისხმობს ეს სათაური.

– რუსკა, ხშირად ამბობთ, რომ საქართველოში დაბრუნებას აპირებთ. როგორ ფიქრობთ, როდის მოხდება ეს? დაბრუნების დრო დაგეგმილი გაქვთ, თუ ეს შეიძლება, სრულიად მოულოდნელმა ფაქტორებმა განაპირობოს?

– ვერ ვიტყვი, როდის შეიძლება ეს მოხდეს, თუმცა დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, როგორ მოხდება. ეს არ იქნება უძღები შვილის დაბრუნება – მამის არც ერთი ტალანტი, თუ ცხოვრებამ მაინცდამაინც კუთხეში არ მიმიმწყდია, არ მექნება გაფლანგული. ამ მხრივ ჩემი სვანური ფესვები, ინსტინქტის დონეზეც კი, ზუსტად მკარნახობს, როგორ მოვიქცე – სად გადავმალო განძი (თუკი მართლა განძია), როგორ მოვუარო, რა ხერხებით დავიცვა. რასაკვირველია, დავბრუნდები სხვანაირი, ვიდრე წასვლამდე ვიყავი, მაგრამ, როგორც სერგო კლდიაშვილის ერთ მოთხრობაშია, მოვკრავ თუ არა თვალს ჩემს მთებს, მდინარეებს, ნაცნობ ადგილებს, ალბათ მეც მივუშვებ აღვირს და შეძახილით გავექანები იქით, სადაც ჩემიანები მეგულება.

ასე მოხდება თუ არა ნამდვილად, ცხოვრება ანუ იგივე მოულოდნელი ფაქტორები, როგორც თქვენ უწოდებთ, მომცემენ ამის საშუალებას თუ არა, მნიშვნელობა დიდად არა აქვს – მე ყოველ ღამით, გონებაში, ასჯერ მაინც ვბრუნდები სახლში. დილისკენ კი, გამოღვიძებულზე, უკეთ ვიცი, როგორ უნდა მივიტანო ის დღე მორიგ დაბრუნებამდე.

– „მუდმივად ვცდილობ, გავაანალიზო და ჩავუღრმავდე, ისტორიულად შევისწავლო და ახსნა მოვუძებნო იმ ყველაფერს, რაც იმ დროს აფხაზეთში დატრიალდა... ჯერჯერობით ამისთვის მზად არ ვარ, მაგრამ ვფიქრობ, ადრე თუ გვიან ეს რომანი შეიქმნება“, – ეს ერთ-ერთი თქვენი ინტერვიუდანაა... და ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ამას ამბობს წარმომადგენელი იმ თაობისა, რომლის მხრებზეც დარჩება, როგორც ჩანს, აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის რეალური გზების ძიება. რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ ეს დროისა და სივრცის ამ დისტანციიდან?

– აფხაზეთის მიწას, ჩვენი წინაპრების საფლავებს თუ ნასახლარებს, იმდენად აქვთ დატვირთვა, რამდენადაც იმ მიწაზე მათი ნააზრევი, ნახელავი, ნაშრომი, დიალექტიკურად იყო შერწყმული მეზობლის – აფხაზი იქნებოდა, სომეხი თუ ბერძენი – ნააზრევთან თუ ნახელავთან. კულტურული დიალექტიკის (დიალოგის) რღვევა ყველა მონაწილეს აზიანებს, არავის ტოვებს უვნებელს. კავკასიელის ბუნებაც გასათვალისწინებელია – გულზვიადი ხალხი ვართ, მგრძნობიარე, მცირე წყენასაც კი ვერ ვივიწყებთ ადვილად, რომ არაფერი ვთქვათ ერთმანეთის ხოცვაზე. ამიტომ ვფიქრობ, რომ აფხაზეთში დაბრუნების შესაძლებლობა „დავიწყებაზე“ გადის. აფხაზეთის დავიწყებაზე კი არა – არამც და არამც, წყენის დავიწყებაზე.

არც მუშტის ქნევა და არც ლაქუცი არ გამოგვადგება, ამაში დარწმუნებული ვარ. როგორც ჩვენს ბუნებაში იწვევს უნდობლობას, ერთიც და მეორეც, ისეა მათშიც. დროს კი იმაზე მეტი ძალა აქვს ყოველთვის, ვიდრე წარმოგვიდგენია. ცხოვრებაც იმაზე მეტად მოულოდნელია ხოლმე, ვიდრე ჩემი თუ სხვისი ათასნაირი მსჯელობა შეიძლება იყოს. გულს ვერ ვუბრძანებთ, მართალია, მაგრამ ცხოვრების დინების მბრძანებელი, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მხოლოდ ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ.

ლიტერატურული თვალსაზრისით, ის ხალხი უფრო მაინტერესებს ჩვენ გვერდით რომ ცხოვრობდა ამდენი საუკუნის განმავლობაში და წარმოუდგენელია, ვერ ხვდებოდეს, რომ ეს ომი ყველამ მოიგო, მათ და ჩვენ გარდა.

თუ ცხოვრებამ მაცალა, ჩემი ყველაზე დიდი სურვილი ის არის სწორედ, რომ ჩემი მომავალი რომანის თემა იყოს ის, რაც აფხაზეთში გადაგვხდა თავს და რომ დროისა და სივრცის საჭირო დისტანციიდან, შეგრძნებების ავტომატიზმისგან გათავისუფლებულმა, ენერგიის ისეთი მობილიზება მოვახერხო, ასეთ საქმეს რომ ეკადრება. ყველაფერი რაც მანამდე თავს გადამხდება, ამ ამბისთვის მზადება იქნება მხოლოდ...

ნატო კორსანტია

(დასასრული იქნება)

ასე ამბობდა დონალდ ტრამპი

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

წინასაარჩევნო სიტყვა

OBAMACARE-ს გაუქმებასა და შეცვლაზე

ჩვენ მთლიანად გავაუქმებთ Obamacare-ს, შევცვლით რა სამედიცინო შემნახველი ანგარიშებით. საერთოდ კი სამედიცინო შემნახველი ანგარიშები ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია, ოღონდ ძალიან კარგი. კარგი იქნება, თუ სამედიცინო დაზღვევის ყიდვას ადამიანები კანონიერად შეძლებენ თავიანთი შტატის გარეთ, სხვა შტატშიც. ეს კონკურენციაა! პოლიტიკოსები ამას ხელს შეუშლიან, იმიტომ რომ სადაზღვევო კომპანიებს არ უყვართ კონკურენცია, მაგრამ ჩვენ თავს გავართმევთ, დამიჯერეთ. ამაზე მთელი წლები ვლაპარაკობ. სასარგებლო იქნება აგრეთვე, თუ შტატები შეიძლებენ Medicaid-ის ფონდების მართვას. ამას გარდა, უკვე დროა, რომ ბიუროკრატიზმისგან ვიხსნათ სურსათისა და წამლების ხარისხზე ზედამხედველობის სამმართველო. იქ ახლა 4000 მედიკამენტი ელოდება მოწონება-აღიარებას, ბევრი, რასაკვირველია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. სანამ ისინი განიხილავენ წამლების ვარგისობას თუ ავ-კარგიანობას, რომელი წამლებიც სავსებით პერსპექტიულნი ჩანან, ადამიანები იხოცებიან. ავადმყოფები სულს ღაფავენ, წამლები სჭირდებათ, ჩვენ კი ვდგავართ და წლობით ვსწავლობთ ამ წამლებს. გასაგებია, რომ ეს იმათი სამუშაოა, პროცედურას მისდევენ, მაგრამ ჯამში 4000 სხვადასხვა წამალი ელოდება აღიარებას, რასაც ბოლო არ უჩანს. ეს პროცესი დროა, რომ ძალიან დაჩქარდეს.

ვაშინგტონის კორუფციისგან გაწმენდის თაობაზე

განზრახული გვაქვს მკაცრი ეთიკური რეფორმის გატარება, რომელიც მიმართული იქნება ჩვენს პოლიტიკაზე ლობისტებისა და სპონსორების გამხრწნელი ზეგავლენის წინააღმდეგ.

„შევინარჩუნოთ დიადი ამერიკა“

დონალდ ტრამპმა წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიის სლოგანი გამოაცხადა. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა პიტსბურგში მხარდამჭერების წინაშე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, საარჩევნო კამპანიის სლოგანი იქნებოდა — „შევინარჩუნოთ დიადი ამერიკა!“ (Keep America Great!).

2016 წელს დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიის სლოგანი იყო „დავუბრუნოთ ამერიკას სიდიადე!“ (Make America great again!). ამგვარად, ახალი სლოგანი წინა სლოგანის გაგრძელებაა.

პიტსბურგში სიტყვით გამოსვლისას ტრამპმა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზეც ისაუბრა (გაიმართება 2020 წელს).

„თითქმის ეჭვი არ მეპარება ამაში, თუმცა არასდროს არ შეიძლება რომ იყო 100 პროცენტით დარწმუნებული. არ მიყვარს, როდესაც დროს ვუსწრებ, თუმცა მოდით, ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი წარიმართება ისე, როგორც ახლა“.

„მე რასისტი არა ვარ“

„**მე** რასისტი არა ვარ“, — ეს განცხადება დონალდ ტრამპმა მიგრაციის შესახებ თავისი იმ კომენტარის შემდეგ გააკეთა, რამაც საერთაშორისო საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია. ტრამპის განცხადება ჰაიტიდან და აფრიკიდან ჩასულ მიგრანტებს შეეხებოდა. აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ის სრულ მზადყოფნაშია და მონდომებულია, მიაღწიოს შეთანხმებას, რომლის ფარგლებშიც აშშ-ში ჩასულ მიგრანტებს დაიცავს, რომ ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე, არის თუ არა ის რასისტი, მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპმა ჰაიტიდან და აფრიკიდან ჩასულ მიგრანტებს ჯურღმულიდან გამოქცეულები უწოდა, მან განაცხადა, რომ ყველაზე ნაკლებად ის რასისტი ადამიანია, ვინც კი ჟურნალისტებს შეხვედრია.

საპრეზიდენტო ფიცი

დონალდ ტრამპმა 2017 წლის 20 იანვარს ვაშინგტონში, კაპიტოლიუმის შენობის წინ საპრეზიდენტო ფიცი დადო, რის შემდეგაც წარმოთქვა პირველი სიტყვა პრეზიდენტის რანგში.

როგორც ამერიკული მედია წერდა, აშშ-ს 45-ე პრეზიდენტმა თავისი სიტყვის დიდი ნაწილი დამოუკიდებლად თავად დაწერა. გამოსვლაში მან ისაუბრა ქვეყნის საზღვრების დაცვაზე, ქვეყანაში სამუშაო ადგილების დაბრუნებაზე, სხვა ქვეყნების არმიების ნაცვლად ამერიკის არმიის გაძლიერებაზე და ა.შ.

* * *

დღევანდელ ცერემონიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენ უბრალოდ კი არ გადავცემთ ძალაუფლებას ერთი ადმინისტრაციიდან მეორეს, ან ერთი პარტიიდან — მეორე პარტიას, არამედ ჩვენ ძალაუფლებას ვაშინგტონიდან გადავცემთ და გიბრუნებთ თქვენ, ამერიკელ ხალხს.

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ადამიანთა მცირე ჯგუფი სარგებლობდა ხელისუფლების სიკეთეებით ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში და ამის საფასურს მოსახლეობა იხდიდა.

* * *

ვაშინგტონი აყვავდა, მაგრამ ადამიანებმა ვერ იგრძნეს თავიანთ ქონებაზე. პოლიტიკოსებიც გაიფურჩქნენ, მაგრამ ქარხნები დაიკეტა და სამუშაო ადგილები გაქრა. ისტებლიშმენტი იცავდა საკუთარ თავს, მაგრამ არა — ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს.

მათი გამარჯვება არ იყო თქვენი გამარჯვება, მათი ტრიუმფი არ იყო თქვენი ტრიუმფი და როცა ისინი ზეიმობდნენ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, სულაც არ ეზეიმებოდათ ოჯახებს ჩვენს ქვეყანაში.

ყველა ცვლილება იწყება აქ, ამ წუთას, რადგან ეს მომენტი თქვენი მომენტია — ის თქვენ გეკუთვნით, ის გეკუთვნით თქვენ, ვინც აქ შეიკრიბეთ და ყველას, რომლებიც ახლა გვიყურებთ მთელი ამერიკის მასშტაბით.

ეს თქვენი დღეა, ეს თქვენი ზეიმია, ეს ამერიკის შეერთებული შტატები თქვენი ქვეყანაა.

რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია, არის არა ის, რომელი პარტია აკონტროლებს ხელისუფლებას, არამედ ის, ხელისუფლება კონტროლდება თუ არა ხალხის მიერ.

* * *

ჩვენ 2017 წლის 20 იანვარს მოვიგონებთ იმ დღედ, როცა ხალხი ისევ გახდა თავისი ქვეყნის მმართველი.

ჩვენი ქვეყნის დავიწყებული მოქალაქეები ამიერიდან არასდროს იქნებიან დავიწყებულნი, ახლა ყველა თქვენ გისმენთ.

ათეული მილიონობით თქვენგანი გახდა ნაწილი ისეთი ისტორიული მოძრაობისა, რომლის მსგავსი მსოფლიოს არ უნახავს. ამ მოძრაობის შუაგულში არის მნიშვნელოვანი რწმენა იმისა, რომ სახელმწიფო არსებობს იმისთვის, რათა ემსახუროს თავის მოქალაქეებს.

ამერიკელებს უნდათ შესანიშნავი სკოლები თავიანთი ბავშვებისთვის, უსაფრთხო სამეზობლო თავიანთი ოჯახებისთვის და კარგი სამსახურები თავიანთთვის. ეს არის საზოგადოების სამართლიანი და საფუძვლიანი მოთხოვნები, მაგრამ ჩვენი ძალიან ბევრი მოქალაქე სხვა რეალობაში ცხოვრობს: დედები და შვილები სიღარიბეში ცხოვრობენ ჩვენს ქალაქებში; დაჟანგული ქარხნები საფლავის ქვებივით არიან მიმოფანტული ჩვენი ქვეყნის მიწაზე; ფულით სავსე განათლების სისტემა, რომელიც შესანიშნავ სტუდენტებს უცოდინართ ტოვებს; კრიმინალმა, განგსტერებმა და ნარკოტიკმა ძალიან ბევრი სიცოცხლე წაგვართვა და ჩვენი ქვეყანა გაძარცვა არარეალიზებული პოტენციალისგან. ეს ამერიკული საშინელება ახლა დასრულდება აქ.

* * *

საპრეზიდენტო ფიცი, რომელიც მე დღეს დავდე, არის ერთგულების ფიცი ყველა ამერიკელისადმი.

ოკეანის გადაღმა ვხარჯავდით ტრილიონობით დოლარს მაშინ, როცა ჩვენი ინფრასტრუქტურა მოშლილი და დასუსტებულია.

ჩვენ ვამდიდრებდით სხვა ქვეყნებს მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, სიძლიერე და თავდაჯერებულობა ჰორიზონტიდან გაქრა.

საწარმოები ერთმანეთის მოყოლებით დაიხურა და მილიონობით ამერიკელი მუშახელი უსამსახუროდ დარჩა.

ჩვენი საშუალო კლასის სიმდიდრე გაქრა და განაწილდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ ეს წარსულია და ახლა ჩვენ მხოლოდ მომავლისკენ ვიხედებით.

დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა ყველა ქალაქს, ყველა ქვეყნის დედაქალაქსა და ძალაუფლების ყველა ცენტრს გავაგონოთ: დღეის შემდეგ ახალი ხედვით იქნება მართული ჩვენი ქვეყანა. ამ მომენტიდან ამერიკა იქნება პირველი!

ყველა გადაწყვეტილება ვაჭრობის, გადასახადების, იმიგრაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მიღებული იქნება ამერიკელი მშრომელებისა და ამერიკული ოჯახების სასარგებლოდ.

* * *

ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი საზღვრები სხვა ქვეყნის დამანგრეველი ზიანისგან, რომლებიც ჩვენს პროდუქციას აწარმოებენ, ჩვენს კომპანიებს იპარავენ და ჩვენს სამუშაო ადგილებს ანადგურებენ. დაცვა საბოლოოდ მოგვიტანს სიძლიერესა და კეთილდღეობას.

მე ვიბრძოლებ თქვენთვის თითოეული ჩემი ამოსუნთქვით და არასოდეს მოგცემთ დაცემის საშუალებას.

ამერიკა ხელახლა დაიწყებს გამარჯვებას ისე, როგორც არასდროს. ჩვენ დავიბრუნებთ ჩვენს სამუშაო ადგილებს, ჩვენ დავიბრუნებთ ჩვენს საზღვრებს, ჩვენ დავიბრუნებთ ჩვენს სიმდიდრეს და ჩვენ დავიბრუნებთ ჩვენს ოცნებებს.

მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩვენ ავაშენებთ ახალ გზებს, ახალ ავტობანებს, ახალ ხიდებს, ახალ აეროპორტებს, ახალ გვირაბებსა და ახალ სარკინიგზო ხაზებს.

ჩვენ დავუბრუნებთ კეთილდღეობასა და სამსახურს ხალხს — ხელახლა ავაშენებთ ჩვენს ქვეყანას ამერიკული ხელებითა და ამერიკული სამუშაო ძალით.

ჩვენ გვექნება ორი მთავარი წესი: იყიდე ამერიკული და დაიქირავე ამერიკელი.

* * *

ჩვენ არ მოვახვევთ ჩვენი ცხოვრების წესს სხვას, არამედ ვიბრწყინებთ, რათა სხვებმა მოგვბაძონ.

ჩვენ გავამყარებთ ძველ კავშირებს და ჩამოვაყალიბებთ ახალს და გავაერთიანებთ ცივილიზებულ სამყაროს რადიკალური ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ, რომელიც სრულად აღიგვება დედამიწიდან.

ჩვენი პოლიტიკის დედააზრი იქნება ამერიკის შეერთებული შტატებისადმი ერთგულება და ჩვენი ქვეყნისადმი ერთგულებით ჩვენ ერთმანეთის ერთგულებასაც მოვიპოვებთ.

როდესაც გულს გავუღებთ პატრიოტიზმს, იქ ცრურწმენისთვის ადგილი არ დარჩება.

ბიბლია გვეუბნება ჩვენ, თუ რა კარგი და სასიამოვნოა, როცა ღვთის შვილები ცხოვრობენ ერთად და ერთსულოვნად.

* * *

საბოლოოდ, ჩვენ უნდა ვიფიქროთ უფრო მასშტაბურად და უნდა ვიოცნებოთ კიდევ უფრო მეტად. ამერიკაში ჩვენ გვესმის, რომ სახელმწიფო იმდენ ხანს ცოცხლობს, რამდენ ხანსაც რაღაცისკენ ისწრაფვის.

ჩვენ არასდროს არ უნდა მივიღოთ ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც სულ ლაპარაკობენ და ნაბიჯს წინ არ დგამენ — მუდმივად წუწუნებენ და არაფერს აკეთებენ.

ფუჭი საუბრის დრო დამთავრდა, ახლა მოქმედების დროა.

ყველა ამერიკელმა, ყველა ახლო თუ შორეულ, პატარა თუ დიდ ქალაქში, მთიდან მთამდე, ოკეანიდან ოკეანემდე, ისმინოს ეს სიტყვები:

შენ ამიერიდან არასდროს არ იქნები უყურადღებოდ დატოვებული!

შენი ხმა, შენი ფიქრები, შენი ოცნებები განსაზღრავენ ჩვენს ამერიკულ ბედისწერას. შენი სიმამაცე, სულგრძელობა და სიყვარული სამუდამოდ გაგვიძღვება ამ გზაზე.

ჩვენ ერთად შევძლებთ, რომ ამერიკა გახდეს ისევ ძლიერი!

ჩვენ ამერიკას გავხდით ისევ მდიდარს!

ჩვენ ამერიკას გავხდით ისევ ამაყს!

ჩვენ ამერიკას გავხდით ისევ უსაფრთხოს!

დიახ, ჩვენ ამერიკას გავხდით ისევ დიადს!

დიდი მადლობა, ღმერთმა დაგლოცოთ და ღმერთმა დალოცოს ამერიკა.



(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №78-87, 89-90, 95

სანაგვეზე მოსროლილი ლეონიდ ბრეჟნევის პორტრეტი, გამქრალი „ფაბერჟე“, გაყიდული ბინები და... დაუკრძალავი ფერფლი

ბაბუა და შვილიშვილი

ლეონიდ ბრეჟნევის შვილიშვილი ვიქტორია ფილიპოვა 2018 წლის 6 იანვარს კიბოთი გარდაიცვალა. ეს, თავისთავად, კია სამწუხარო ფაქტი, მაგრამ გასაოცარი ისაა, რომ აგერ კარს მომდგარი ზაფხულის პირას, მისი ცხედარი ჯერაც დაუსაფლავებელია! ამის მიზეზი კი მისი ახლობლების შეურიგებელი ურთიერთდაპირისპირებაა.

ვიქტორია, ლეონიდ ბრეჟნევის ქალიშვილის გალინასა და მისი პირველი მეუღლის, ცირკის მსახიობის **ევგენი მილაევის** შვილი იყო. ეს ქორწინება ხანგრძლივი არ ყოფილა, დედამისი გალინა კი უფრო პირადული ცხოვრებით იყო გატაცებული და გოგონას ყურადღებას ნაკლებად აქცევდა. სამაგიეროდ, ბაბუა ლეონიდი მასზე ჭკუას კარგავდა, ამდენად ვიკას არაფერი აკლდა.

ქალიშვილობაში შესულ ვიქტორიას უბრალო წარმომავლობის მიხეილ ფილიპოვი შეუყვარდა, რომელსაც ცოლად გაჰყვა და ქალიშვილიც გააჩინა, რომელსაც ბებიის — გალინას სახელი დაარქვა. ყოვლისშემძლე ოჯახთან დანათესავება მიხეილს, რომ იტყვიან, თავში აუვარდა — გაუთავებლად ბაქიბუქობდა და სასმელსაც ეძალებოდა, ამიტომ ხუთ წელიწადში ოჯახი დაინგრა, ვიქტორია კი მალევე ხელმეორედ მომღერალ **გენადი ვარაკუტაზე** გათხოვდა. თუმცა მას არც მეორე ქორწინებაში გაუმართლა: მის ქმარს მალევე კარის მეზობელი, „გოსპლანის“ ყოფილი თავმჯდომარის ბაიბაკოვის ქალიშვილი შეუყვარდა.

— ლეონიდ ბრეჟნევის გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახის წევრთა ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა, — ამბობს შს ყოფილი მინისტრის, გენერალური მდივნის ყოფილი ქვისლის ნიკოლაი შჩელოკოვის ვაჟიშვილი იგორი. — ცუდად წავიდა ვიკას საქმეც, იგი სამსახურიდან დაითხოვეს და გაჭირვებაში ჩავარდნილმა ბინების გაყიდვა დაიწყო...

იმ წლებში მას მხარში სამოქალაქო ქმარი, მასზე 18 წლით უმცროსი **დიმიტრი ბარმინი** ამოუდგა.

— ერთმანეთი რომ გავიცანით, მე ვიყავი 19 წლის, ვიქტორია — 37 წლის. წიგნების საერთაშორისო გამოფენებისა და ბაზრობების გენერალურ დირექციაში ჩვენ ერთად ვმუშაობდით, — ყვება დიმიტრი ბარმინი. — მე შემიყვარდა ეს ლამაზი ქალი, ხოლო ბრეჟნევის შვილიშვილი რომ იყო, ეს ამბავი მოგვიანებით შევიტყვე.

ამის მიუხედავად, მათ ქორწინება არ გაუფორმებიათ. სიცოცხლის ბოლო ოთხი წელი კი ვიქტორია საშინელ სენს ებრძოდა, თუმცა ამ ამბავს ერთადერთ ქალიშვილსაც კი არ უმხელდა, დიმიტრის გარდა ეს არავინ იცოდა.

— არ უნდოდა მისი გასაჭირი ვინმეს სცოდნოდა, ბოლო დღეები ჩემთან იყო, ამდენად, ვიცი მისი უკანასკნელი სურვილის შესახებ. **მას სურდა ნოვოდევიჩის სასაფლაოზე ბებიისა და დედის გვერდით დაგვეკრძალა,** — ამბობს დიმიტრი.

ვიქტორიას უკანასკნელი ნების აღსასრულებლად მისი ცხედრის კრემაცია მოხდა **(იმ სასაფლაოზე მიცვალებულებს მხოლოდ ასე მარხავენ — რედ.)**,. ბრეჟნევების ოჯახის საფლავი ორადაა გაყოფილი: ერთზე — ლეონიდ ილიას ძის დედაა დაკრძალული, ხოლო მეორეზე — სკკპ ცკ-ის ყოფილი ძლევამოსილი გენერალური მდივნის ძმის, იაკობ ილიას ძის ოჯახის წევრები. იქ ლეონიდის ცოლი და ქალიშვილი გალინა არიან დაკრძალულნი, საფლავის ამ ნაწილს მისი შვილიშვილი ანდრეი განკარგავს.

— მან კი ვიქტორიას საოჯახო საფლავზე დაკრძალვის უფლება არ მოგვცა, ამიტომაც ურნა მისი ცხედრით დღემდე კრემლის ცენტრალურ საავადმყოფოში ინახება, — ჯავრობს დიმიტრი ბარმინი.

გალინა-უმცროსმა დედის ფერფლის მამის — ევგენი მილაევის საფლავზე დაკრძალვის წინადადება წამოაყენა, თუმცა დიმიტრი მას არ ეთანხმება და მოითხოვს მიცვალებულის ნება ზუსტად აღსრულდეს.

— კანონით, ცხედრის ფერფლთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ დიმიტრი ბარმინს შეუძლია, მან კრემაციის ფულიც გადაიხადა (5 ათასი რუბლი) და დაკრძალვის ორგანიზატორიცაა, — აცხადებენ იურისტები. საქმე ისაა, რომ კანონმდებლობით, კრემაციის ფული ვინც გადაიხადა, ფერფლიან ურნასაც ის განაგებს. ქალიშვილი გალინა კი არც წესის აგებაზე, არც ქელეხში არ მიუწვევიათ.

მაინც რატომ მოხდა ასე? გენერალური მდივნის ლეონიდ ბრეჟნევის შვილიშვილმა ვიქტორიამ თავის დროზე ორი მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი — დედა გალინა და ქალიშვილი გალინა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაამწესა. დედამისი გალოთებული იყო, ქალიშვილი კი ქუჩა-ქუჩა თმაგადახოტრილი დაეხეტებოდა, ღამეებს სადარბაზოებში ათევდა...

„კლინიკიდან წერილებს ვწერდი: დედა, დიმიტრი, მომხედეთ! ძალიან მიჭირს აქ ყოფნა!“ მაგრამ, არავის მოუკითხავს“, — იხსენებს ქალიშვილი გალინა.

ამდენად, **უმცროსმა გალინამ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ექვსი წელი გაატარა, ხოლო იქიდან**

ვიქტორია ბებიასთან (ბრეჟნევის მეუღლესთან) და პირველ მეუღლესთან მიხეილ ფილიპოვთან ერთად. 1973 წელი

გამოსულმა შეიტყო, რომ ყველა ბინა, რომელიც ლეონიდ ბრეჟნევის გარდაცვალების შემდეგ ვიქტორიას ერგო, გაყიდული იყო. არადა, ქონება მეტად სოლიდური იყო: სამოთახიანი ბინა გრანატოვის შესახვევში (ფასი დაახლოებოით 100 მილიონი რუბლი, ანუ ახლანდელი კურსით 17-18 მილიონი დოლარი), თავად ბრეჟნევის ბინა კუტუზოვის პროსპექტზე, სადაც თავის დროზე შვილიშვილი გალინაც ცხოვრობდა (ისიც დაახლოებით იმავე ღირებულების), ამას დამატებული ბინა ნოვინსკი ბულვარზე (70 მილიონი რუბლი).

გენერალური მდივნის კიდევ ერთმა შვილიშვილმა — ანდრეი იურის ძე ბრეჟნევმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ყველა ცოცხალი ნათესავის ნებაა, ვიქტორია მამამისის, ევგენი მილაევის გვერდით დაიკრძალოს და ეს მხოლოდ ოჯახის გადასაწყვეტია. მის შვილთან და შვილიშვილთან კი არანაირი კონტაქტი არა აქვთ.

— ვერაფრით გამიგია, როგორ მოხდა ისე, რომ ვიქტორია და მისი ქალიშვილი გალინა უსახლკაროდ დარჩნენ, — დაბნეულია გალინა ბრეჟნევას მეგობარი ვიქტორია ლაზიჩი. — ამის გარდა, რომ ბრეჟნევების ოჯახის უძრავი ქონება დიდძალი ფული ღირდა, თავად ბინებიც, რომ იტყვიან „ჭერამდე სავსე“ იყო ძვირადღირებული სურათებით, ანტიკვარიატით, ძვირფასეულობით, ჭურჭლით... ყველაფერი უკვალოდ გაქრა. ერთ-ერთ ბინაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის უზარმაზარი პორტრეტი იყო — ის, სულაც სანაგვეზე მოისროლეს(!)

თავად ბრეჟნევის შვილიშვილი უწინდელ ინტერვიუებში აცხადებდა, რომ ყველა ძვირფასეულობა დედამისმა გაყიდა და გააჩუქა,. დაიკარგა კარლ ფაბერჟეს ნახელავი უძვირფასესი ნაკეთობებიც...

— დედისგან გალინას უბრალო ძეწკვიც არ დარჩენია, — ამბობს ადვოკატი ნატალია სმირნოვა. — მან დიმიტრი ბარმინს რამდენიმე პირადი ნივთის გადაცემის თხოვნით მიმართა, თუმცა მან უპასუხა — „კი, ბატონო, სიამოვნებით მოგართმევდი, მაგრამ აღარაფერი დარჩა!“

ამჟამად იურისტები ბრეჟნევების ოჯახის ბინების გაყიდვის გარემოებებს შეისწავლიან, ამოწმებენ, ჰქონდა თუ არა ვიქტორიას გახსნილი საბანკო ანგარიშები, რა ოდენობის თანხები ირიცხებოდა მათზე და ვის ჰქონდა ანგარიშებზე წვდომა. თავად დიმიტრი ბარმინი საქმის საჯარო გარჩევებს თავს არიდებს.

— ამჟამად მილაევები ვიქტორიას ქალიშვილს — გალინას დაესივნენ და ერთობლივად რაღაც-რაღაცებზე პრეტენზიებს უცხადებენ, მაგრამ ისმება კითხვა — განა სად იყვნენ ისინი, ამდენი წლის მანძილზე? მათ ხომ აუარება შესაძლებლობა ჰქონდათ, ეკითხათ თავად ვიკასთვის, თუ სადაა ფული?!.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ ინფორმაცია თემაში

ბინების გაყიდვის თაობაზე ლეონიდ ბრეჟნევის შვილთაშვილის გალინა ფილიპოვასგან თანხმობა არავის უკითხავს, ვინაიდან იგი არაქმედითუნარიანად იყო აღიარებული. რამდენიმე წლის წინათ, როცა ცნობილი გახდა, რომ გალინა მაწანწალობს, მოსკოვის ხელისუფლებამ მას ბინა აჩუქა, რომელსაც ამჟამად 44 წლის ქალი აქირავებს, თავად კი დაქალთან ცხოვრობს.

— ახლო მომავალში დაიწყება გალინას სამოქალაქო უფლებებში აღდგენასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი, — აცხადებს ადვოკატი ნატალია სმირნოვა. — მისი ქმედიუნარიანობა უკვე აღდგენილია, მაგრამ ვიდრე არაქმედითუნარიანად იყო გამოცხადებული, მთელი მემკვიდრეობა გაქრა. გარდა ამისა, ვეცდებით დაკარგული საბუთების აღდგენას. გალინამ მოსკოვის უნივერსიტეტი დაამთავრა, მაგრამ დიპლომი ხელზე არა აქვს, ამიტომაც შრომით მოწყობასთან დაკავშირებით სირთულეები წარმოიშვა.

ახლა ყველას აინტერესებს, რა გაირკვევა ლეონიდ ბრეჟნევის უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის თაობაზე? ბოლოს და ბოლოს სად დამარხავენ გენერალური მდივნის შვილიშვილის ფერფლს?

ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲐᲡᲢᲘᲙᲔ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲔᲑᲨᲘ

ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ **აგრესიული თამაშები ჩვენი საუკუნის მძიმე სენად იქცა, რომელიც მოზარდის ფსიქიკას ცვლის. ამ თამაშების ძირითადი არსი დახოცვაა და, რაც მეტს მოკლავ, მით უფრო წარმატებული ხარ. არის თამაშები, რომელთა მიზანიც სამყაროს გადარჩენაა. თუმცა ამ კეთილშობილური მიზნის უკან, ასევე, უხვადაა ძალადობა და სამყაროს გადარჩენის მისაღწევად ნაცისტების, ტამპლიერების, რობოტების დახოცვა უწევს მოზარდს.**

ერთ-ერთი სასტიკი თამაშია „Mortal Kombat“. მსგავსი აგრესიული თამაშების შემდეგ შედეგი არ აყოვნებს და უბრალო გართობა უმალვე ძალადობისკენ მიდრეკილებად გადაიქცევა.

შემთხვევითი არ არის, რომ ანდერს ბრეივიკის მიერ ნორვეგიაში განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ ნორვეგიელებმა ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად ძალადობის ამსახველი თამაშებისა და მულტფილმების გაყიდვიდან ამოღება დაისახეს მიზნად. ბრეივიკი ხომ მასტერკლასს სწორედ კომპიუტერული თამაშების საშუალებით გადიოდა.

ინტერნეტთამაშები მხოლოდ სხვა ადამიანის მიმართ ძალადობისკენ არ უბიძგებს მოზარდს. ინტერნეტთამაში „ლურჯი ვეშაპი“ თვითდაზიანებას და თვითმკვლელობას ახალისებს. ტერმინი „ლურჯი ვეშაპი“ ნაპირზე გარიყულ ვეშაპთა ფენომენისგან მომდინარეობს, რომელიც თვითმკვლელობასთანაა მიმსგავსებული. თამაში 50 დღე გრძელდება და ამ ხნის განმავლობაში ე.წ. კურატორები ისეთი „ექაუნთებიდან“ აძლევენ მოზარდებს „დავალებებს“, რომელთა იდენტიფიცირებაც შეუძლებელია. ნავარაუდევია, რომ 50 დღის შემდეგ თამაშის მონაწილემ თავი უნდა მოიკლას. ხოლო, ვისაც თამაშიდან გასვლა სურს, ოჯახის წევრების ანგარიშსწორებით ემუქრებიან. ზოგიერთი დავალების შესასრულებლად მოზარდი მაღალსართულიანი კორპუსის სახურავზე უნდა ავიდეს, უნდა გაიღვიძოს დილის 4.20 საათზე, ელაპარაკოს ვეშაპს და სხვა.

მას შემდეგ, რაც საქართველოში რამდენიმე მოზარდმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, „ლურჯი ვეშაპის“ ზეგავლენაზე გაჩნდა ეჭვი. თუმცა გამოძიების დასრულების შემდეგ შსს-მ განცხადება გაავრცელა, რომ, დღეის მდგომარეობით, ქართულ ინტერნეტში ე.წ. „ლურჯი ვეშაპის“ არსებობის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

დამშვიდების მიზეზი არ აქვს ონლაინთამაშის — „ლურჯი ვეშაპის“ გამო 9 თვის წინათ ტრაგიკულად დაღუპული და მე-13 სართულიდან გადამხტარი 13 წლის გოგონას დედას, რომელიც მიმართვას ავრცელებს და ამბობს, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სირაქლემას პოზიციაშია. კერძოდ, სამინისტროს საინფორმაციო კამპანიაც არ უწარმოებია ონლაინსაფრთხეების შესახებ, რომელსაც მოზარდები სუიციდამდე მიჰყავს დაშინებით, შანტაჟითა და ფსიქოლოგიური ზეწოლით.

როგორ უნდა დავიცვათ მოზარდები ონლაინთამაშების მავნე ზეგავლენისგან?

არასამთავრობო ორგანიზაცია „სასკოლო კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი, მკვლევარი **მუხრან გულიაშვილი** ბავშვებთან უკვე წლებია, მუშაობს და მიიჩნევს, რომ, როცა ბავშვები ასეთ სიტუაციაში ერთვებიან და არასწორ საქციელს ავლენენ, მათ „ბეგრაუნდს“ უნდა დავაკვირდეთ. ძალიან ხშირად აღმოჩნდება, რომ ასეთ ოჯახებში არსებობს გარკვეული პრობლემები, ან დედა არ იმყოფება საქართველოში, ან მამა და ბავშვები ყურადღების გარეშე რჩებიან.

„ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი, რაც უბიძგებს მოზარდს, განსაკუთრებით, თინეიჯერულ ასაკში რაღაც ახალი ეძებოს, მთელი დღის განმავლობაში გარეთ იყოს და არ დაკავდეს იმით, რითიც წესით დაკავებული უნდა იყოს — სწავლით, სპორტით. სახელმწიფოს როლს იმაში ვხედავ, რომ უფასო საგანმანათლებლო წრეები, ასევე, სპორტული წრეები (კალათბურთი, ფეხბურთი) გაუხსნას იმ ბავშვებს, ვისაც თანხის გადახდა არ შეუძლია. ეს ბავშვები რაღაცით უნდა დაკავდნენ და არ ჰქონდეთ სურვილი, სხვა რამისკენ გაიხედონ. ბევრ ბავშვს აქვს ეს ინტერესი, მაგრამ მათ მშობელს ფინანსური საშუალება არ აქვს, ატაროს შვილი წრეებზე. ეს წრეები კი საკმაოდ ძვირია და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ხელმიუწვდომელია. განათლება მხოლოდ იმას არ გულისხმობს, რომ კონკრეტული საგნები ასწავლონ სკოლაში. სახელმწიფომ ცოტა მეტად უნდა გადახედოს თავის სისტემას და ოჯახებს დაეხმაროს, რათა მათ მეტი ყურადღება მიაქციონ შვილებს და მისცენ ნორმალური განათლება“, — აღნიშნა მუხრან გულიაშვილმა For./ge-სთან საუბარში.

რაც შეეხება განათლების სამინისტროს მიმართ საყვედურს, რომ სამინისტროს საინფორმაციო კამპანიაც კი არ უწარმოებია ონლაინსაფრთხეების შესახებ, მუხრან გულიაშვილი ეჭვობს, ასეთმა პიარკამპანიამ რამეს უშველოს. პირიქით, შეიძლება, უფრო დაინტერესდეს ბავშვი ამ თამაშებით. ცხადია, მოზარდი ქუჩაში რომ დგას და არაფრითაა დაკავებული, სკოლაშიც დაბალი აკადემიური მოსწრება აქვს, ის რაღაც უკანონობაში იქნება ჩათრეული. კრიმინალში მოზარდების ჩათრევა კი არანაკლები დანაშაულია, ვიდრე ონლაინთამაშები.

მკვლევარი კიდევ ერთი ინიციატივით გამოდის, თუ სახელმწიფოს საშუალება ექნება, სკოლის ასაკის ბავშვები კვებითაც უზრუნველყოს. ამით მოზარდი ყურადღების ობიექტად იგრძნობს თავს, სკოლაშიც დიდხანს დარჩება და გაკვეთილების შემდეგაც დაესწრება კონკრეტულ წრეებს. საზღვარგარეთ სკოლებში მოზარდების კვება აპრობირებული მეთოდია. ფინეთის სკოლებში სტომატოლოგიური მომსახურეობაცაა.

„არ ვიცი, ასეთი აგრესიული საიტები ვინ მოიგონა და რისთვის. არც ის ვიცი, რატომ უნდა სურდეს ვიღაცას მოზარდების სუიციდამდე მიყვანა. „ლურჯი ვეშაპი“ იქნება, თუ სხვა თამაში, ფაქტია, რომ თანამედროვე სამყარო ბევრ შესაძლებლობას სთავაზობს მოზარდებს. მოზარდებმა თავად უნდა შეძლონ ამის კრიტიკულად შეფასება და სკოლა ამ მხრივაც უნდა დაეხმაროს მათ. იმის გამო, რომ ასაკობრივი ზღვარი ძალიან დიდია პედაგოგებსა და მოზარდებს შორის, პედაგოგთა ნაწილი ასაკობრივად დასცილდა ჩვენს მომავალ თაობას. ჩვენთან პედაგოგის საშუალო ასაკი 49 წელია და ტექნოლოგიურად მოსწავლეებმა ზოგჯერ გაცილებით მეტი იციან, ვიდრე მასწავლებლებმა, მაგრამ პირადად მე ბევრი მასწავლებელი ვიცი, რომელიც ყურადღებას არ აკლებს მოზარდებს და გაცილებით იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე სახელმწიფო ამას უნაზღაურებს. ამიტომ პედაგოგებისკენ ხელს არ გავიშვერდი“.

ბავშვთა ფსიქოლოგი **ქეთი მაყაშვილი** ამბობს, რომ ნებისმიერი კომპიუტერული თამაშისთვის დიდი დროის დათმობა მავნეა. ეს ერთეულთა პრობლემა არ არის და მთლიანად ახალგაზრდა თაობის პრობლემაა. რა თქმა უნდა, უფრო მოზრდილი ასაკობრივი ჯგუფის ხალხიცაა ამაში ჩართული, მაგრამ ახალგაზრდობისთვის ეს ძალიან მავნეა. მოზარდების ფსიქიკური მდგომარეობის გაფრთხილება აუცილებელია.

„ამ ასაკში მოზარდისთვის ავტორიტეტები ხდებიან მეგობრები და თანატოლები. ისინი არ არიან ლმობიერები ერთმანეთის მიმართ სწორედ იმიტომ, რომ ყველანაირ კომპიუტერულ თამაშს თამაშობენ და ყველა მათგანი თვლის, რომ ურთიერთობის უხეში მოდელია საჭირო. ისინი არ ზოგავენ ერთმანეთს და, საბოლოო ჯამში, ბავშვს არ აქვს პრობლემების გადალახვის შესაძლებლობა. მოზარდები ერთმანეთთან ურთიერთობის არასწორი ნიმუშებიდან ვეღარ გამოდიან და ერთმანეთს აზიანებენ. დამაზიანებელი ქცევის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს კომპიუტერი, რადგან ყველა მოზარდი ჩართულია ამ საქმეში. ვიღაც უძლებს იმ აგრესიულ ქმედებას, რასაც მისი მეგობარი იჩენს მის მიმართ, ხოლო ვიღაც ვერ უძლებს. ასევე, მოზარდმა აგრესია შეიძლება ნახოს ტელევიზორში, ან სულაც ოჯახში, საზოგადოებაში, ანუ ყველგან შეიძლება ნახოს და ამან მიიყვანოს სავალალო შედეგამდე. ქსელური თამაშების დროს კი შეიძლება ბავშვებმა ერთმანეთი დააზიანონ“, — აღნიშნა ქეთი მაყაშვილმა.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ?

ᲒᲝᲠᲘᲡ **რაიონის სოფელ დიცში განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ბაზაზე სპეცრაზმელი გარდაცვლილი იპოვეს.**

43 წლის ნუგზარ ბარიშვილს ჭრილობა მუცლის არეში აქვს მიყენებული. ოჯახის ინფორმაციით, ბარიშვილი ადგილზე გარდაიცვალა, ისე რომ მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ვერ მოასწრეს.

გარდაცვლილის დედა იმავე ბაზაზე მზარეულად მუშაობს, მან შვილის გარდაცვალების შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიტყო, რაც სამსახურში გამოცხადდა. როგორც თავად ამბობს, ინფორმაცია მას უწყებიდან არ მიაწოდეს.

შსს-ს ინფორმაციით, გარდაცვლილს სხეულზე ძალადობის კვალი არ აღენიშნება.

ოჯახს თვითმკვლელობის ვერსიის არ სჯერა და აცხადებენ, რომ ნუგზარ ბარიშვილი მოკლულია. ოჯახი მომხდარის ობიექტურ გამოძიებას ითხოვს.

ᲡᲞᲔᲪᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲕᲐᲠᲙᲔᲗᲘᲚᲨᲘ

ᲡᲘᲜᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ **ნარკოტიკით ვაჭრობის ბრალდებით დაკავებული ახალგაზრდა ქალია.**

ადგილობრივები არ გამორიცხავენ, რომ მას სამართალდამცველები ელოდებოდნენ, რადგან იგი გამოჩენისთანავე აიყვანეს.

სამართალდამცველებმა ის მანქანაც დალუქეს, რითიც გოგონა ადგილზე მივიდა.

ადგილობრივების თქმით, მათ ის პირველად ნახეს, ვისთან მიდიოდა ან ცხოვრობს თუ არა ამ უბანში, დეტალები არ იციან.

ᲗᲣᲨᲔᲗᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲛᲔᲬᲧᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲬᲕᲐ

ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲘ-ᲐᲑᲐᲜᲝ-ᲝᲛᲐᲚᲝᲡ **გზის 56-ე კილომეტრზე დაახლოებით 700 ათასი კუბური მეტრის კლდის ნაწილია ჩამოწოლილი, რამაც ალაზნისწყლის შეგუბება გამოიწვია.**

ამ ეტაპზე დაგუბებულ ადგილამდე მისვლა ვერ ხერხდება. გაწმენდითი სამუშაოები კვირის ბოლოს დაიწყება.

ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ **რკინიგზის სადგურში, პირველ ლიანდაგში მდგომი შტადლერის ორსართულიანი მატარებელი (Stadler Kiss) დააზიანეს. როგორც „საქართველოს რკინიგზის“ განცხადებაშია აღნიშნული, რკინიგზის სადგურში ვანდალური ფაქტი დაფიქსირდა.**

„გვიან ღამით პირველ ლიანდაგში მდგომი შტადლერის ორსართულიანი მატარებელი (Stadler Kiss) დაუდგენელმა პირებმა დააზიანეს, კერძოდ, მეოთხე ვაგონის კედელი სრულად მოხატეს. განრიგის მიხედვით, ღამით მატარებელი ბათუმის სადგურში 9 საათი დგას. სწორედ ამ პერიოდში მოხდა აღნიშნული დანაშაული. „საქართველოს რკინიგზამ“ უკვე მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მიმდინარეობს გამოძიება. შტადლერის ორსართულიანი მატარებელი 6 წუთის დაგვიანებით, თბილისის მიმართულებით 7:30 საათზე გამოვიდა. ვიმედოვნებთ, რომ დროულად გამოვლინდებიან სამართალდამრღვევი პირები და მიეცემიან პასუხისგებაში აღნიშნული ვანდალური ფაქტის გამო“, — აღნიშნულია განცხადებაში.

◎ პატივგება

საშობლო გულში იხუტებს

მსოფლიოს ყველაზე ღონიერ ადამიანს ლაშა ტალახაძეს 2017 წლის საუკეთესო შტანგისტი მამაკაცისთვის განკუთვნილი პრიზი თბილისში, რუსთაველის თეატრში გამართულ საზეიმო საღამოზე ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა გადასცა.

ჩვენს გოლიათთან ერთად დაჯილდოვდა გასული სეზონის გამორჩეული ქალი, ესპანელი ლიდია ვალენტინი, რომელიც კუთვნილი ჯილდოს მისაღებად საქართველოში საგანგებოდ ჩამოვიდა.

საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლები; ქალაქის მერი და სპორტული სამყაროს წარმომადგენლები.

მანუჩარ გიორგაძე

◎ 64

გზა საქართველომ გაუხსნა

პაულ კერესი (1916-1975), საერთაშორისო დიდოსტატი (1950), ესტონეთის ჩემპიონი (1934), მსოფლიო პირველობის მრავალგზის პრეტენდენტი (1930-60 წწ.), საჭადრაკო კომპოზიტორი, თეორეტიკოსი და ლიტერატორი; ჭადრაკის თამაში დაიწყო 4 წლისამ. წარმატებით გამოდიოდა პრესტიჟულ შეჯიბრებებში.

გაიმარჯვა ავრო ტურნირში (ნიდერლანდები, 1939 წ.), სადაც მონაწილეობდნენ მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები.

„კერესი ჭადრაკის გენიოსია, მაგრამ ადრეც იყვნენ მსგავსი გენიოსები (მაკდონელი, ცუკერტორტი, ჩიგორინი, ტარაში, პილსბერი), რომლებიც მეორენი იყვნენ“, — ამბობდა ტარტაკოვერი (1938). ეს წინასწარმეტყველება გამართლდა — კერესი 1960-1962 წლებში მსოფლიო ჩემპიონატებს მხოლოდ ფინალური სტადიებიდან ეთიშებოდა.

ესტონელმა დიდოსტატმა 1700-ზე მეტი ამოცანა და 30 ეტიუდი შეადგინა. 1946 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირში საქართველოს პირველმა საერთაშორისო ოსტატმა ვიქტორ გოგლიძემ მოიწვია პაულ კერესი, რომლის გამო — იგონებს ბატონი ვლადიმერ (ვოვა) გოგლიძე — მამაჩემს — ვიქტორ გოგლიძეს მთელი რიგი უსიამოვნებები გადახდა. კერესი ომის დროს ოკუპირებულ ბალტიისპირეთში ერთდროულ სეანსებს ატარებდა, რომლებშიც გერმანელებიც მონაწილეობდნენ. კომუნისტური რეჟიმი პოლიტიკური მოსაზრებებით არ იყო შემწყნარებელი ასეთი „აპოლიტიკური“ მოჭადრაკის მიმართ. ამრიგად, გზა ბრწყინვალე მოჭადრაკეს საქართველომ გაუხსნა!

გთავაზობთ კერესის შემოქმედებიდან ეტიუდს და ერთ-ერთი პარტიის დაბოლოებას.

კერესი-საიდი 1964



1. ელ6! ბc6 2.ხf6 ხf6 3.d5
შენიშვნა: c6-ზე დაწმენდილი შავი მხედარი, თეთრი მხედრის (f4) დარტყმის შედეგად ქვეშ(c4) იმყოფება (ა.ბ.)

კერესი-1936



1.ბc2+!-ბqa2 2.ბb4+-ბqa1
3.ლa2+!-ba 4.ბc6(რასულ მოჰყვება ბd4 და შემდეგ ბb3 ან ბd2)
სხვა ვარიანტებიც მომვნიანია.

მოამზადა თამაზ შენგელიამ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, პარლამენტარ ლევან კობიაშვილს

მამის

გარდაცვალების გამო.

◎ ჟურნალისტი იხსენებს

კვანტი

2000 წლის დამდეგს, როცა „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვმუშაობდი, რედაქციაში მოვიდა ბეჭდაუდებელი ქართველი ფალავნის არსენ მეკოკიშვილის შვილი გიორგი, თვითონაც სახელოვანი მოჭიდავე და მამამისისადმი მიძღვნილი წიგნი მომიტანა სათარგმნად. კრებულს, რომელშიც დაბეჭდილი იყო რუსი ჟურნალისტების მოგონებები სსრ კავშირის ცხრაგზის ჩემპიონსა და მსოფლიოში სწორუპოვრად აღიარებულ გარეჯელ მოჭიდავეზე, აშკარად ეტყობოდა, რომ ქართულიდან იყო ნათარგმნი. ეს ბატონმა გიორგიმაც დამიდასტურა.

დავიწყე მუშაობა. ტექსტს რომ არ დასტყობოდა თარგმანის ნიშანწყალი, გადავწყვიტე, უხვად მეხმარა ქართული ილეთების სახელწოდებები. სინონიმების ლექსიკონი არ ვიკმარე და სპორტის რედაქციის თანამშრომელს ვაჟა დანელიას ვთხოვე, ჭიდაობის ფედერაციაში დამარეკინე-მეთქი. ყურმილი ფედერაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა აიღო, გავეცანი, ავუხსენი საქმის ვითარება და ვთხოვე, ეთქვა „კვანტის“ სინონიმები სარმის, შუაკაურის, გარეკაურის გარდა, რაც მე თვითონაც ვიცოდი მოგვერდთან და კისრულთან ერთად. ამ ლაპარაკში კალამიც მოვიმარჯვე, რათა არ დამვიწყებოდა და ჩამეწერა ქართული ილეთების სახელწოდებები. ჩემი თანამოსაუბრე რამდენიმე წამს დაფიქრდა და მერე სხაპასხუპით მიპასუხა, „მაგას ჩვენ პადნოჟკას ვეძახითო“...

არჩილ მანჯგალაძე

◎ ჩოგბურთი

ვარდნა გრძელდება

ATP-ის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გუშინ განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. ათეულში მხოლოდ ერთი ცვლილებაა — გრიგორ დიმიტროვმა მარინ ჩილიჩს გადაასწრო და მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.

ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა მადრიდის მასტერზის სტარტზე გაელ მონფილსთან მარცხის შემდეგ რეიტინგში რეგრესი განიცადა, ორი საფეხურით დაქვეითდა და ამჟამად 77-ე პოზიციაზეა.

რაფაელ ნადალი — 8770 ქულა, როჯერ ფედერერი — 8670, ალექსანდრ ზვერევი — 5195, გრიგორ დიმიტროვი — 4950, მარინ ჩილიჩი — 4780, ხუან მარტინ დელ პოტრო — 4470, დომინიკ ტიმი — 3545, კევინ ანდერსონი — 3345, ჯონ იზნერი — 3125, დავიდ გოფინი — 3020.

კოგა კოგახიძე

◎ კალათბურთი

ელადის სახელით

საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ათენის აეკი გახდა. ბერძნულმა კლუბმა ფინალში შინ „მონაკო“ 100:94 დაამარცხა.

ყველაზე მეტი — 19 ქულა მასპინძელთა ამერიკელმა ლეგიონერმა მაიკ გრინმა ჩააგდო. ელადელები მატჩის სტარტზევე დაწინაურდნენ და მთელი შეხვედრის განმავლობაში სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრებაც კი ვერ მოახერხეს.

საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგა მეორე წელია, რაც იმართება და შარშანდელი გათამაშება ესპანურმა „ტენერიფემ“ მოიგო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგენდა

ინიესტას ავსტრალიაშიც ეპატიჟებიან



„ბარსელონას“ ნახევარმცველმა ანდრეს ინიესტამ, რომელიც მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ კატალონიურ კლუბს ტოვებს, შესაძლოა, კარიერა ავსტრალიაში განაგრძოს.

Sport.es-ის ინფორმაციით, 33 წლის ფეხბურთელს იქაურ A ლიგაში ეპატიჟებიან. კონკრეტული გუნდი ჯერჯერობით არ სახელდება, თუმცა, გამოცემა საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ირწმუნება, რომ ვეტერანი აღნიშნული წინადადებით დაინტერესებულია და მწვანე კონტინენტზე ოჯახით გადაბარგების პერსპექტივა ხიბლავს.

მას შემდეგ, რაც ინიესტამ „ბარსელონადან“ წასვლა გადაწყვიტა, არაერთი ქვეყნიდან მიიღო შეთავაზება და თავდაპირველად ყველაზე რეალურ ვარიანტად ჩინეთი სახელდებოდა.

გიორგი ზოთაძე

◎ შეაყარე კედელს ცერცვი!

თემურ გვალია:

ლეიბორისტო შალიკო! შენ ხარ ჩვეულებრივი უნიჭო „ნაციონალი“!

მსახიობი თემურ გვალია სოციალურ ქსელში შემდეგი სახის პოსტს და ფოტოს აქვეყნებს:

„ლეიბორისტო შალიკო!

მსახიობებზე, რეჟისორებზე, მხატვრებზე, მუსიკოსებზე და სხვა ხელოვან ადამიანებზე სანამ იჭორავებ და შეეცდები, შეურაცხყოფა მიაყენო, მანამდე გადახედე შენს განვლილ ცხოვრებას, თუკი ცხოვრება ჰქვია იმას, როგორც შენ იცხოვრე...

მსახიობების ორგროშიან შემოსავლებს რომ ითვლი, ჯერ იქნება და შენი „დრაკულას“ კოშკის აშენებისთვის დახარჯული თანხებისთვის გადაგეხედა? ან იქნებ ჯერ მათი სია გამოგექვეყნებინა, ვინ არიან შენი პატრონები და ვის დავალებებს ასრულებ...

ცოტა ხნის წინათ რომ გამოიჭიმე ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში და განაწყენებული რომ მოსთქვამდი შენთვის ჩვეულ ამპლუაში: ჩემი სახლის აგურებს რომ ითვლით, წადით და ნახეთ ზოგიერთებს რა სახლები აქვთ და მერე ილაპარაკეთ ჩემს „ქოხზეო“, — ამითი რისი თქმა გსურდა, რომ შენ მათთან შედარებით უფრო ნაკლებს იპარავ? და ის მაინც არ გაგიგია, ნემსის და აქლემის ქურდზე რომაა ნათქვამი? თუ იმას გვიმტკიცებ, რომ ერთხელ პედერასტი პედერასტი არაა?

მსახიობების დანამატებზე საუბრობ შე მსოფლიო დონის სალახანავ? დანამატებზე, რომლის განკარგვა არც შენ გეხება და არც სახელმწიფოს? აფერისტობასაც ნიჭი უნდა ნიჭიიი... მაგრამ შენ არც მაგის ნიჭი აღმოგაჩნდა! შენ ხარ ქვეყნის კლოუნი! შენ ხარ რამდენიმე კილოგრამი ხორცის ნაჭერი, რომელსაც არც სული გააჩნია, არც გული, არც ადამიანობა, არც თავმოყვარეობა და არც სიკეთე. მსახიობებს რაღას ერჩი, შენს კეთილებს, რომ ვენაცვალე მე! რეჟისორობაც სცადე, მსახიობობაც, სხვადასხვა ფერებში ხატვაც და არცერთი არ გამოგივიდა... არ ხარ შენ ნიჭიერი, მაგარი უნიჭო ხარ...

მთელი ცხოვრება ვითომ ხალხის გვერდზე დგახარ და უსინდისოდ სთხოვ მოსახლეობას, მოგიყვანონ ქვეყნის სათავეში... და თუ ამას არ გააკეთებთ, საქართველო დაილუპებაო, ამბობ...

ეხ, შალიკო, შალიკო... საქართველო, სწორედ შენისთანა ნაძირალების და გაყიდული არსებების გამოა ამ დღეში...

შენ ხარ ჩვეულებრივი უნიჭო „ნაციონალი“, რომელიც ასრულებს „ნაციონალების გურუს“ ბრძანებებს... მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან უნიჭოდ ასრულებ.

ხალხმა რენტგენში გაგატარა და ყველაფერი იცის, რომელი ავადმყოფობისკენაც ხარ მიდრეკილი. მაგრამ, ვაი-ვაი რომ უკურნებელი სენით ხარ დაავადებული და ამას მე გიმხელ დღეს. გამაგრდი და ახლა მაინც შეხვდი კაცურად ამ „სიახლეს“. შენ მე-4 სტადია დაგიდგინდა, რომელიც არ იკურნება. ამიტომ გირჩევ: მსახიობების ლანძღვას, რომლებიც შენზე მეტჯერ და წარმატებულადაც არიან ხალხის წინაშე წარმდგარნი, შენზე ნიჭიერად აქვთ როლები შესრულებული სცენაზე და სიკეთესა და სიყვარულს ემსახურებიან, მათზე ჭორაობას და მათ ლანძღვას თავი დაანებე და მიიღე გამაყუჩებელი აბები, რომელსაც ექიმები უწერენ მომაკვდავ ავადმყოფებს... შენც დაისვენებ და ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაც. უკვე დროა, შეეგუო ამ რეალობას.

ადექი და „კრიჭე“ შენი ძველი მეგობარი, როგორც წლების განმავლობაში „კრეჭდი“... მოსახლეობის ვითომ „გალამაზების“ მცდელობას თავი დაანებე!

ჭორიკანა, ინტრიგანი არაკაცი ხარ შენ!“ — წერს გვალია.

სანთელი

ოთარ ფაცაცია და ბონდო ჯიქია სამძიმარს უცხადებენ ბატონ ნუგზარ ფოფხაძეს ძმის

დევი ფოფხაძის

გარდაცვალების გამო.

თენგიზ ქავთარაძე, ზურაბ ფოჩხუა, როლანდ გაბრიჩიძე სამძიმარს უცხადებენ ვახტანგ კიკნაძეს შვილის

კახა ვახტანგის ძე კიკნაძის

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილის ჯანდრი უბირიას დედის

ვენერა კობახიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

იწყება ჩინური მინი სერიალის გადაღებები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ ფარგლებში, ჩინური მინი სერიალის გადაღებები დაიწყება. „მასკა“ („The Mask“) — ასე ჰქვია მხატვრული ჟანრის ქართულ-ჩინურ კოპროდუქციას, რომელზე ქართული საპროდიუსერო კომპანია „არსენ პროდაქშენი“ მუშაობს.

სერიალი დეტექტიური ჟანრის არის, სადაც მთავარ როლში ყოფილი პოლიციის ოფიცერი ჯი ფანია, რომელმაც პატარა ქალაქში მომხდარი რამდენიმე მკვლელობა უნდა გამოიძიოს. საინტერესოა, რომ მთავარ გმირს, ყველაფრის გამოასაშკარავებლად და დღის შუქზე გამოსატანად, გამოძიება საქართველომდე მოიყვანს. მოპარული ყელსაბამი, რომელიც ყოფილ პოლიციელს თბილისში ჩამოიყვანს, მხოლოდ პატარა ნაწილია იმ დიდი სურათისა, სადაც ჩინური, ვიეტნამური და ქართული მაფიებია გარეული.

აღსანიშნავია, რომ ფილმის გადაღებები, რომელიც ივნისის დასაწყისში დაიწყება, სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება, სადაც 50-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება, ხოლო სერიალის შინაარსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გადაღებებისთვის შემდეგი ლოკაციები, კერძოდ, თბილისი და ბათუმი შეირჩა.

◎ ყველაფერი ყველაფერზე

კბილის სენსორი ალკოჰოლის, მარილის და გლუკოზის მიღებას აკონტროლებს

მინიატიურული, ბრტყელი სენსორი, რომლის ზომა 2 მილიმეტრს არ აღემატება, კბილზე მაგრდება და პირის ღრუში გარკვეული ქიმიკატების კონცენტრაციას ამოწმებს. ის დისტანციურად უკავშირდება მობილურ ტელეფონს და აკონტროლებს ადამიანის მიერ ალკოჰოლის, მარილის და გლუკოზის მიღებას.

სენსორი ტაფტის უნივერსიტეტის ინჟინერიის სკოლაში შეიქმნა. ეს პირველი მობილური, ე.წ. სატარებელი ტექნოლოგიაა, რომელიც დიეტოლოგიური მონაცემების მონიტორინგს რეალურ დროში ახორციელებს. გამოგონებას ჯანდაცვისთვის შედარებით ახალ მიმართულებას, პერსონიფიცირებულ, ინდივიდუალიზებულ მედიცინას მიაკუთვნებენ.

სენსორის წინამორბედი მოდელები, რომელზეც მეცნიერები აქამდე მუშაობდნენ, არაპრაქტიკული იყო და მათი დანერგვა რამდენიმე პრობლემის გამო არ ხერხდებოდა. ერთ-ერთი მათგანი მუდმივი ენერგიის წყაროსთვის აუცილებელი სადენები იყო. ეს პრობლემა მობილურ ტელეფონთან დისტანციური კავშირის დამყარებით მოიხსნა.

ამას გარდა, პირის ღრუში არსებული ნივთიერებებით წარმოქმნილი მტრული გარემო სენსორებს აზიანებდა და აუცილებელი იყო მათი ხშირი ცვლა. ამ ეტაპზე ტაფტის უნივერსიტეტის ინჟინერიის სკოლის მეცნიერებმა ისეთი სენსორი შექმნეს, რომელიც გარემოსთან უკეთაა ადაპტირებული და გაცილებით მეტი გამძლეობით გამოირჩევა.



სენსორი სამი შრისგან შედგება. მთავარი, ცენტრალური ფენა შუაში მდებარეობს. სწორედ ეს შუა, ბიოლოგიურად აქტიური ფენა ითვისებს ამა თუ იმ ნუტრიენტს, ან ქიმიკატს. ზედა და ქვედა შრეები ოქროს ფირფიტებს მოგაგონებთ. საბოლოო ჯამში, სამივე ფენა ერთგვარად, ანტენის ფუნქციას ასრულებს. ისინი აგროვებენ ინფორმაციას და რადიოტალღების მეშვეობით, მაშინვე გადასცემენ მობილურ ტელეფონში არსებულ მართვის ცენტრს. სენსორი განსაკუთრებით მგრძნობიარეა მარილის და ეთანოლის მიმართ.

ამერიკელ მეცნიერთა გამოგონებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. უკვე მიმდინარეობს ახალი კვლევები, რომელიც სენსორის მოქმედების გაცილებით ფართო სპექტრს მოიცავს. ვარაუდობენ, რომ ალკოჰოლის, მარილის და გლუკოზის გარდა, კბილზე დამაგრებული სენსორი სხვა მონაცემების გაანალიზებასაც შეძლებს. საუბარია სხვა ნუტრიენტებზე, ქიმიკატებზე თუ ფიზიოლოგიურ მონაცემებზე.

სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი ავტორი, ინჟინერიის პროფესორი ფიორენზო ომენეტო ამბობს, რომ „ბიოლოგიურად აქტიური შუა ფენის მოდიფიცირება სხვა ქიმიკატების სამიზნეში ამოსაღებად, თეორიულად, სავსებით შესაძლებელია. რეალურად, აქ მხოლოდ იმდენად ვართ ლიმიტირებული, რამდენადაც შეიძლება, ადამიანის წარმოსახვის უნარი იყოს შეზღუდული“, აღნიშნავს ის.

ამას გარდა, პროფესორ ომენეტოს თქმით, სენსორი არ არის აუცილებელი მაინცდამაინც კბილზე დამაგრდეს და მხოლოდ პირის ღრუ აკონტროლოს. ის შეიძლება, ადამიანის კანზე, ან ნებისმიერ სხვა ზედაპირზე მოთავსდეს და საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია გარემოში არსებულ, სხვადასხვა ნივთიერების კონცენტრაციაზე მაშინვე, რეალურ დროში მივიღოთ.

ტაფტის უნივერსიტეტის მეცნიერთა ნაშრომი მარტის ბოლოს გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალში „მოწინავე მასალები“. კვლევა ამერიკის არმიის კვლევითი ცენტრის, შეერთებული შტატების ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის და რამდენიმე სხვა სამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარდა. თუმცა, უშუალოდ სამეცნიერო კვლევაში ამ დაწესებულებებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

მაია ქვარცხავა

◎ მკითხველის ლექსები

თესე სიკეთე, ბოროტება ვერ მოგერევა!..

მურმან დუნდუა

მეგობარი

მეგობარი ჩემი სულის ნაწილია,
ღმერთო, ღმერთო, იგი დიდხანს მიცოცხლე,
თანხვედრები ისე, ისე ჩაწნულია,
უიმისოდ, აბა, რაა სიცოცხლე.
თუ მეგობარს ჩემი გული დასჭირდება,
უყოყმანოდ, უყოყმანოდ გავიღებ,
და თუ ჩემს თავს დაატყდება გაჭირვება,
ის თავის გულს მომაწვდის და ავიღებ.

ჩემო თბილისო!

ჩემო თბილისო, შენ შემოგტრფის
ჩემი გული, ჩემი გრძნობა.
შენ შემოგტრფის, გეფიცები,
სამშობლოს და ხალხთა ძმობას.
შენმა უბემ გამომზარდა,
შენს კალთებში ნანა მირწეს.
გეფიცები, საყვარელო,
სათელავად არვის მიგცემ.
შენს წარსულს და შენს მომავალს
შენი შვილი მტკიცედ ვიცავ,
რომ დავიცავ შენს დიდებას,
კიდევ, კიდევ შემოგფიცავ.

რამ აიძულა

რამ აიძულა გალაკტიონი,
რამ აიძულა?
ცხოვრების კარი ასე ჯიქურად
რად გაიხურა?
რატომ დაიწყო მან ლოთობა,
დაფიქრდით ერთი?!
მარტონი დარჩნენ დუნიაზედ
ისა და ღმერთი.

გამოგვაფხიზლე

ააზანზარე, უფალო, ზეცა.
ააგუგუნე მიწის ქვეშეთი,
არ დაგვაძინო არც ერთი დღეცა
და დაგვიბრუნე ჩვენ აფხაზეთი.
სული ჩაგვბერე ქართლოსის მოდგმას,
გორგასლისეულ ცომში აგვზილე,
სულ ჩამოგვსხიპე ერთურთის ბოღმა,
აფხაზეთისთვის გამოგვაფხიზლე.

ტკივილი ჩემი

ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
სამშობლო ჩემი ფარავდა,
დღეს კი ჭინჭრაქას სადარად
იგი სულ დაპატარავდა.
მე კარგად ვიცი, რისი ბრალია,
რატომღაც გავხდით ასე პატარა,
ჩვენ ისტორიამ შურით, შუღლით და
ღალატის ფლდიდი გზებით გვატარა.

ბიძინა ივანიშვილს

პოლიტიკური სპექტრი აქოჩრდა,
გასაკაფია ეს ყოფა რთული,
ახლაც შენ გმართებს, ჩემო ბიძინა,
რომ ნაბიჯები გადადგა ბრძნული
შენი იმედით ცხოვრობს ქვეყანა,
შენ შემოგყურებს ერი და ბერი,
ნაღდი ქართველნი შენთან დავდგებით,
რომ ჯვარზედ ვაცვათ ორთავე მტერი.

უფალი გირჩევს

უფალი გირჩევს, შეისმინ, ნუ აგერევა,
თესე სიკეთე, ბოროტება ვერ მოგერევა!

მარნეულელ დებს საუკეთესო კალიგრაფების ტიტული მიენიჭათ

თბილისში გამართულ დედაენის რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მარიამ და შაჰნისე ემილებმა პირველი და მესამე ადგილები დაიკავეს. კალიგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა კი, დების ნაშრომი ერთ-ერთ საუკეთესო ხელნაწერად აღიარა. წარმატებულ მოსწავლეებს „საუკეთესო კალიგრაფების ოჯახის“ ტიტულიც მიენიჭა.

ისინი ქალაქ მარნეულიდან არიან და განათლებას დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში იღებენ, სადაც ქართულ დედაენას და ქართულ დამწერლობას სწავლობენ.

„მეც და ჩემს დასაც ძალიან მოგვწონს ქართული ენა და ქართულად წერა. ვცდილობთ, ყოველთვის ლამაზად და სუფთად გამოვიყვანოთ ასოები. ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ჩვენი ნაწერი დედაენის ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა. ვეცდებით, კიდევ უფრო დავხვეწოთ ქართული და სხვა ოლიმპიადებშიც წარმატებას მივაღწიოთ“, - განაცხადა შაჰნისემ.

გასულ კვირას გამართულ დედაენის ოლიმპიადაზე, რომელიც არაქართულენოვან მოსწავლეებსაც მასპინძლობდა, მარნეულელმა დებმა ერთ-ერთი საუკეთესო ხელნაწერი წარადგინეს, რითიც ჟიურისგან პირველ და მესამე ადგილებთან ერთად საპატიო ჯილდოები და პრიზებიც დაიმსახურეს.

გასაცინებელი ა(მ)ბები

მკითხავთან

— ძმარი ხომ არ გღალატობთ? მაინც თვალყური ადევნეთ არა მარტო სახლში, არამედ სამუშაოზეც.

— ხომ ვერ მეტყვით, როგორ უნდა მოვიქცე? ჩემი ქმარი მფრინავია.

სამი „რატომ“

— გუშინ შინ რომ დაბრუნდი, რატომ გაიხადე ფეხსაცმელები და კბილებით დაიჭირე, სანამ კარს შემოაღებდი?

— რომ არ გამეღვიძებინე, ძვირფასო.

— ოთახში ოთხზე რაღატომ დადიოდი?

— რომ არ გამეღვიძებინე, ძვირფასო.

— თუ ეგრეა, მაშ რატომ მღეროდი მთელი ხმით „ჩემო კარგო, ოქროს ქალო!“

ყავის საკითხი

თქვენთვის მაგარი ყავა არ შეიძლება. მაგარ ყავას რომ სვამთ, აღიგზნებით ხოლმე და ნერვიულობთ.

— ეჰ, პატივცემულო ექიმო, თქვენ არ იცით, როგორ ვნერვიულობ, როცა თხელ ყავას მთავაზობენ.

ტელევიზიამდე

— მამიკო, ტელევიზიის გამოგონებამდე ხალხს რა ჰქონდა?

— სიმშვიდე, შვილო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 11 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4512; ევრო - 2.9226;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3177;
100 რუბლი - 3.8948; თურქული ლირა - 0.5753;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4470;
1000 სომხური დრამი - 5.0488.

ამინდი 9 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+26
თბილისი:	ღამე	+16,	დღე	+28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge